

როსტომ ფარეულიძე

ჩეჩნური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო
ქრესტომათიითა და ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონით

2015

კავკასიურ ენათა (აფხაზური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ოსური) პრაქტიკული
სახელმძღვანელოები

პროექტი დაფინანსებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

პროექტის შიფრი **AR/344/2-120/12**

ჩეჩნური ანბანი

ჩეჩნური დამწერლობა 1938 წლიდან იყენებს რუსულ ანბანს, რომელსაც დამატებული აქვს ერთადერთი ნიშანი I (ლათინური ერთიანი).

ანბანში სულ 49 ასო-ნიშანია: 34 ერთმაგი და 15 – ორმაგი უმლაუტიანი ხმოვნების აღსანიშნავად ხმოვნების აღმნიშვნელ ასო-ნიშნებს დამატებული აქვს Ё: аь, оь, уь, яь, юь (იგივე Ё ნიშანი რუსული ენიდან ნასესხებ სიტყვებშიც უცვლელად იხმარება).

თანხმოვნის მომდევნო I ნიშანი აღნიშნული თანხმოვნის აბრუპტივობაზე მიუთითებს. ასეთია: пI, тI, цI, чI, кI. იგივე ნიშანი გამოყენებულია гI და хI თანხმოვნების აღსანიშნავადაც. I ნიშანი გამოყენებულია, აგრეთვე, ფარინგალური მჟღერი თანხმოვანი სპირანტის გადმოსაცემადაც (შდრ.: Ia “ზამთარი”, маIа “რქა”...).

გარდა ამისა, ანბანში ორი ასო-ნიშნის კომბინაციით აღნიშნულია кх, кь, хь თანხმოვანი ბგერები.

ორი ასო-ნიშნით გამოხატული ბგერის გაორმაგებული ვარიანტი (ე. წ. მაგარი ანუ ინტენსიური თანხმოვანი) ფიქსირდება სამი ასო-ნიშნით: кх+кх > ккх, кь+кь > ккь (შდრ.: доккха “დიდი”, юккьехь “შუაში”...), ე. ი. ამოღებულია მეორე ასო-ნიშანი. გაორმაგებული ასო-ნიშნები дд, гг, ггI (< гIгI), пп, тт, ккх (< кхкх), цц, сс, ккь (< кькь), чч, хх, мм, нн, лл, рр და რამდენიმე სხვაც ანბანში შეტანილი არ არის. ორმაგი თანხმოვანი ბგერების ნაწილი პოზიციურად არის მიღებული.

ь ნიშნით გადმოცემულია ლარინგალური ყრუ აბრუპტივი, ე. წ. ხმის წყვეტა. ეს ნიშანი იხმარება სიტყვის ბოლოში ან შუაში ხმოვნის წყვეტის შემთხვევაში (შდრ.: хIоь “ტყვია”; “მარცვალი”, цхьаь “ერთი”, шIь “ორი”, кхоь “სამი”, *дIь “ოთხი”, пхIь “ხუთი”, тоьал “საკმაოდ, საკმარისად”, хуьушехь “იცოდა რა”, луьушехь “უნდოდა რა”... შდრ., აგრეთვე, ანთროპონიმებში Лейлаь “ლეილა”, Зулфаь “ზულფა, ზულფია”...).

ё, ф, щ, ы დასტურდება მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში, როგორცაა: ёлка “ნაძვის ხე”, фабрика “ფაბრიკა”, щетка “ჯაგრისი”, Грозный “გროზნი|გროზნო” (ქალაქი)... Ё, Ё ასო-ნიშნების შემცველი რუსულიდან ნასესხები სიტყვები ჩეჩნურში იწერება უცვლელად: альбом “ალბომი”, пьеса “პიესა”, лагерь “ბანაკი”, съезд “ყრილობა”, объект “ობიექტი”...

ანბანში შეტანილი არ არის გრძელი ხმოვნები. ზოგ ლექსიკონსა და სამეცნიერო სტატიაში ხაზი ხმოვნის თავზე აღნიშნავს ამ ხმოვნის სიგრძეს. ხმოვნის სიგრძის აღსანიშნად ჩვენ ვიყენებთ ორწერტილს ხმოვნის მომდევნოდ. მაგ.: а:

ქართველი მკითხველისათვის სპეციფიკური ჩეჩნური თანხმოვნებია I და хь, ხოლო й, кх, Ё თანხმოვნები და უმლაუტიანი (რბილი, პალატალური) ხმოვნები ქართველური ენა-კილოებისათვის უცხო არ არის (იხ. ქვემოთ).

სახელმძღვანელოში მითითებულია არსებითი სახელის კლასის ნიშანი მხოლოდობით რიცხვში. გარდა ამისა, იქვე ფრჩხილებში მოცემულია მრავლობითობის მაწარმოებელი და, აგრეთვე, კლასის ნიშანი. თუ სახელის ფუძე მრავლობითში იცვლება, სახელი მოცემულია სრულად. ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანი, ხშირ შემთხვევაში, ფუძისაგან გამოყოფილია დეფისით. მაგალითად: დ-ада, в-оду, й-оду, н-оду, д-оду...
ჩეჩნური ანბანი

თანამედროვე ჩეჩნური ანბანი, როგორც ითქვა, 49 ასო-ნიშნისაგან შედგება. ესენია (ქართული და ლათინური შესატყვისებით):

А а	ა	a
Аь аь	ჰ	ä
Б б	ბ	b
В в	ვ	v
Г г	გ	g
ГгI	ღ	γ
Д д	დ	d
Е е	ე, ეე	je
Ё ё	ჲო	[jo]
Ж ж	ჟ	ž
З з	ზ	z
И и	ი	i
Й й	ყ	j
К к	ქ	k
Кх кх	ჩ	q
Кь кь	ც	q
КI кI	ძ	ḳ
Л л	ლ	l
М м	მ	m
Н н	ნ	n
О о	ო	o
Оь оь	ჲ	ö
П п	ფ	p
ПпI	პ	P
Р р	რ	r
С с	ს	s

Т т	᠓	t
ТІ тІ	᠓̇	ṫ
У у	ᠤ	u
УЬ уЬ	ᠤ̇	ü
Ф ф	ᠮ	[f]
Х х	ᠬ	x
ХЬ хЬ	ᠬ̇	ḣ
ХІ хІ	ᠬ̇	h
Ц ц	ᠴ	c
ЦІ цІ	ᠴ̇	ç
Ч ч	ᠲ	č
ЧІ чІ	ᠲ̇	č̇
Ш ш	ᠱ	š
ШІ шІ	ᠱ̇	[ṧč̇]
Ы	ᠶ	ə
Ь	ᠶ̇	[̇]
Ю ю	ᠶᠤ	ju
ЮЬ юЬ	ᠶᠤ̇	jü
Я я	ᠶᠢ	ja
ЯЬ яЬ	ᠶᠢ̇	jä
І і	ᠶ̇	“ll̇

გაკვეთილი №1

ჩენური ენის თანხმოვანთა სისტემა

ჩენური ენის თანხმოვანთა სისტემა, კავკასიურ სხვა ენებთან შედარებით, მარტივია. იგი ახლოს დგას ქართულ თანხმოვანთა სისტემასთან. ეს თანხმოვნებია (იხ. ჩენური ანბანი):

ბ, ვ, გ, გI, დ, ჯ, ჰ, ლ, კხ, კხ, კI, ლ, მ, ნ, პ, პI, რ, ც, ტ, ტI, ფ, ხ, ხხ, ხI, ც, ძI, ყ, ყI, შ, შ, ზ, I

მაშასადამე, ანბანში წარმოდგენილია 33 თანხმოვანი.

ამ თანხმოვანთაგან ფ და შ მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში არის გამოყენებული: რუსული ენიდან ნასესხები სიტყვები ჩენურში იწერება ისე, როგორც რუსულში.

ჩ, კხ, ზ (ჰ, ჰ') ქართული ენაკილოებისათვის არ არის უცხო. შევადაროთ ჩენური ჩიша “და”, ჩის “თრთვილი, ჭირხლი”, ჩივლახ “თავსაფარი”, “ცხვირსახოცი”, შიხ “ორი”, კხუზა “აქ”... და ქართული (ძველი ქართული ენა და ქართული ენის ზოგიერთი კილო) მამა-ჰ, ძმა-ჰ, წყარო-ჰ..., ჰელი, ჰორცი, ჰარი..., აგრეთვე, ლარინგალური (ხორხისმიერი) მკვეთრი ბგერა მგერულის მარტივლურ კილოკავში: ჰუჰი “ჰური”, ჰუდე (< ჰუდე) “სახლი”...

როგორც ზემოთ ითქვა, ჩენურში ძ (ძჰ) და ჯ (ძჰ) ბგერებიც არის სიტყვის დასაწყისში, მაგრამ მათ ნაცვლად იწერება ჰ (ჰ) და ჰ (ჰ).

რჩება ორი თანხმოვანი ბგერა, რომლებიც ქართველურ ენებში არ არის, ესენია: ფარინგალური (ხახისმიერი) მჟღერი სპირანტი I (') და, ასევე, ფარინგალური, მაგრამ ყრუ, სპირანტი ხხ (ჰჰ). მაგალითად, Ia “ზამთარი”, Iaჰ “ვაშლი”, ჩიI “გოგო”..., ხხაყ “ქლიავი, ტყემალი”, ჩხაგაI (ჩხა:გაI) “კურდღელი”, ხხუI “ტყე”...

ამ ბგერათა სიხშირე ჩენურ მეტყველებაში დიდია და საჭიროა ამ ბგერათა წარმოთქმაში გავარჯიშება.

სხვა მხრივ ჩენური თანხმოვანთა სისტემა არ განსხვავდება ქართულისაგან.

ჩენური თანხმოვნები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სქემის მიხედვით: ხშული სამეულები (თითოეულ მჟღერს შეესაბამება თითო ყრუ ფშვივიერი და ყრუ მკვეთრი):

ბაგისმიერები: ბ ბ, პ ფ, პI ჰ

კბილისმიერები: დ დ, ტ თ, ტI ტ

წინანუნისმიერები: ძჰ [ძ], ძ ც, ძI წ

უკანანუნისმიერები: ძჰ [ჯ], ყ ჩ, ყI ჭ

უკანასასისმიერები: გ გ, კ ქ, კI კ

ფარინგალურები: – კხ ჰ, კხ ყ

ამ ბოლო წყვილს აკლია სათანადო მქდერი. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ რიგში ჰ (ხშული ყრუ ფშვინვიერი) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს (თუმცა ძველ ქართულში იყო და არის ქართული ენის ზოგ დიალექტში – მოხეურში, ფშაურში, ხევსურულში, თუშურში, ქიზიყურში...). გარდა ამისა, ამავე რიგში ქართულში არა გვაქვს სათანადო სპირანტები, რომლებიც წარმოდგენილია ჩეჩნურში (იხ. ქვემოთ ფარინგალური სპირანტები).

წყვილები წარმოადგენენ სპირანტებს – მქდერსა და ყრუს:

წინანუნისმიერები: ჰ ზ, ც ს

უკანანუნისმიერები: ჯ ყ, შ შ

უკანასასისმიერები: ოღ ღ, ხ ხ

ფარინგალურები: ო‘, ხზ ჰ

ცალეულებია:

ლარინგალური ხშული ყრუ მკვეთრი ო‘

ლარინგალური ყრუ სპირანტი ოღზ

ცალეულებია სონორი ბგერებიც:

ბაგისმიერი ხშული მ მ

კბილბაგისმიერი სპირანტი ო ვ

კბილისმიერი ხშული ნ ნ

წინანუნისმიერი ლატერალი ო ღ

უკანანუნისმიერი ვიბრანტი ო რ

ანბანში შეტანილ თანხმოვანთა გარდა ჩეჩნურში არის ე. წ. მაგარი (ინტენსიური, ორმაგი) თანხმოვნები, როგორიცაა: ომ ომ, ოღ ოღ, ოც ოც, ოზ ოზ, ოთ ოთ, ოყ ოყ, ოკ ოკ ჰზ. შეადარეთ, ქართული გემმა (< გემ-მა), თევზზე (< თევზ-ზე), თბილისს (თბილის-ს) და მისთ. ასეთი ბგერები ქართულში მორფემათა ზღვარზე დასტურდება, ჩეჩნურში კი მაგარი თანხმოვნები თავს იჩენენ როგორც მორფემათა ზღვარზე, ისე მარტივ ფუძეებშიც.

მაგარი თანხმოვნები ჩეჩნურში სიტყვის თავში არ გვხვდება. ასეთ თანხმოვნებს აღნიშნულ ენაში სიტყვათგანმასხვაველები ფუნქცია აქვთ, მაგრამ ისინი ჩეჩნურ ანბანში შეტანილი არ არის. მსგავსი თანხმოვნები ანბანში შეტანილი არ არის, მაგალითად, რუსულშიც. შდრ.:

დ-იტა დატოვება – დ-იტა გარეცხვა

დ-ილა დაბანა, გარეცხვა – დ-ილა დადება

დ-აკხაწოვა – დ-აკხა წართმევა

ამ მაგალითებში დ- ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანის (იხ. ქვემოთ – გრამატიკული კლასის ნიშნები).

შდრ., აგრეთვე:

იხც ცხრა, იტ ოთი, ნუტ მთვარე, ლატა მიწა, დოტაღ (დუოტაღ) მეგობარი...

მარტივი ფუძეები, რომლებიც მაგარ თანხმოვნებს შეიცავენ, ჩეჩნურში ცოტაა. შეუდარებლად მეტია ჩეჩნურში ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი მაგარი თანხმოვნები.

დავიმახსოვროთ ზემოთ მოყვანილი სიტყვები:

йиша და	д-ита დატოვება
йис თრთვილი	д-итта გარეცხვა
йовлакх თავსაფარი	д-ила დაბანა, გარეცხვა
шиъ (ши) ორი	д-илла დადება
кхуза აქ	д-аккха წართმევა
Ia ზამთარი	латта მიწა
Iаж ვაშლი	исс ცხრა
йоI გოგო	итт ათი
хъач ქლიავი	бутт მთვარე
пхъагал (пхъа:гал) კურდღელი	доттагI (дуоттагI) მეგობარი
хъун (хъу) ტყე	

დავიმახსოვროთ, რომ ორ და მეტმარცვლიანი სიტყვის ბოლოში a ხმოვანი ძლიერ რედუცირებულია და თითქმის არ წარმოითქმის, ე. ი. გამბობთ ასე: йиш, кхуз,, д-ит, д-итт, д-ил, д-илл, д-аккха, латт.

დავალება:

გადავიწეროთ ანბანი ქართული შესატყვისებით. დავისწავლოთ ზეპირად. დავაღაგოთ ხმოვნები და თანხმოვნები შემდეგნაირად:

- 1) ხმოვნები, რომლებიც ერთი ასო-ნიშნით იწერება;
 - 2) ხმოვნები, რომლებიც ორი ასო-ნიშნით იწერება;
 - 3) თანხმოვნები, რომლებიც ერთი ასო-ნიშნით იწერება;
 - 4) თანხმოვნები, რომლებიც ორი ასო-ნიშნით იწერება;
- ე. წ. მაგარი თანხმოვნები.

გაკვეთილი № 2

ხმოვანთა სისტემა

ხმოვანთა სისტემა ჩეჩნურ ენაში შედარებით რთულია. გვაქვს მარტივი, სადა ხმოვნები, და მათი გრძელი ვარიანტები. მართალია, ხმოვანთა ნაზალიზაცია ამჟამად თითქმის მოშლილია, მაგრამ წერისას მაინც აღნიშნავენ, მაგალითად, არსებით სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად, ერთმარცვლიან ზმნათა ინფინიტურ ფორმებში, ასევე, ერთმარცვლიან ვითარებით ზედსართავ სახელებში... გარდა ამისა, ჩეჩნურში გვაქვს მარტივი და გრძელი უძლაუტიანი ხმოვნები, მარტივი და გრძელი დიფთონგები...

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ხმოვნები a, a:, აь

ნაზალური ხმოვნები

**სახელთა განაწილება გრამატიკული კლასების მიხედვით
д-у (ду) “არის” ზმნა**

ა ხმოვანი ჩეჩნურში არის მარტივი, სადა ხმოვანი. წარმოითქმის მოკლედ. მოვიყვანოთ მაგალითები:

адам ადამიანი	ша ყინული
аһ რეგმატიზმი	хаһ დრო, ხანი
ча დათვი	ваша ძმა
ма, ца არ (უარყ. ნაწილაკები)	в-аха წასვლა...
бат პირი	чаһ მტკერი
са სული...	

სიტყვებში, როგორცაა:

бад იხვი	аз ხმა
наһ ძილი	нах ხალხი
лам მთა	газ ბატი
кач საყელო	Іаж ვაშლი
мах ფასი...	

ა ხმოვანი მოკლე, მაგრამ წინა მაგალითებში წარმოდგენილ ა-სთან შედარებით ფართო ხმოვანია. განსხვავება ამ ხმოვნებს შორის თვალში საცემია ბრუნების დროს, ფართო ხმოვანი არასახელობით ბრუნვებში გრძელდება (აქ და ქვემოთ ხმოვნის მომდევნო ორწერტილი ამ ხმოვნის სიგრძეს აღნიშნავს). შდრ.:

სახ. бад	лам	наһ	кач	мах
----------	-----	-----	-----	-----

ნათ. бе:дан	ла:манан	на:баран	коч:аһ	ме:хан
-------------	----------	----------	--------	--------

ა ხმოვნის ამ ვარიანტების გარდა ჩეჩნურში გვაქვს გრძელი а (ა:) ხმოვანიც. გრძელი а: ფონემაა – აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია. მის ნაცვლად იწერება а.

დავიმახსოვროთ: არც ერთი გრძელი ხმოვანი ანბანში შეტანილი არ არის. ხმოვანთა სიგრძეს აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება ნახურ ენებს. ხმოვანთა სიგრძე აღნიშნულია, აგრეთვე, ზოგ ლექსიკონშიც.

წავიკითხოთ სიტყვები გრძელი ხმოვნით:

да (და:) მამა, нана (ნა:н) დედა, мача (მა:ч) ფეხსაცმელი, газа (გა:з) თხა, ала (ა:л) თქმა, в-аха (в-а:х) ცხოვრება, д-ага (д-а:г) წვა, ата (ა:т) ნაყვა, лаца (ლა:ц) დაჭერა, хъаша (хъа:ш) სტუმარი, амал (ა:мал) ზნე, ხასიათი, ჩვეულება, кхаба (кха:б) დოქი...

წავიკითხოთ სიტყვები. შევადაროთ ისინი ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის მიხედვით:

aca (ac) მე (ერგატივიში) – aca (a:c) ზოლი
д-апа (д-ап) მიცემა – д-апа (д-а:п) აღმოცენება; დამთავრება
ша ყინული – ша (ша:) თვითონ
д-аха (д-ах) წასვლა – д-аха (д-а:х) ცხოვრება
газа (газ) უნახავად – газа (га:з) თხა...

დავიზეპიროთ ჩამოთვლილი სიტყვები.

მაშასადამე, ა ნიშნით ჩეჩნურში გადმოიცემა ორი ბგერა: მარტივი, სადა ა და გრძელი ა (a:).

დავიმახსოვროთ: ა ხმოვანს აქვს “და” კავშირის ფუნქცია. იგი მეორდება ყოველი დასაკავშირებელი სიტყვის შემდეგ და წარმოითქმის. იწერება ცალკე. დაახლოებით უდრის ქართულ -ც ნაწილს, რომელიც შერწყმულ წინადადებაში ყურადღების გამახვილებისათვის ერთვის ერთგვარ წევრებს: ვითამაშეთ ფეხბურთი-ც, კალათბურთი-ც, ფრენბურთი-ც...

მოვიყვანოთ მაგალითები:

да а, нана а (да: а, на:на а) დედა და მამა
ча а, газа а (ча а, га:за а) დათვი და თხა
бад а, гIаз а იხვი და ბატი
саца а, мала а გაჩერება და დაღევა...

ერთხელ კიდევ მივაქციოთ ყურადღება, რომ კავშირის ფუნქციით ხმოვანი წარმოითქმის. გარდა ამისა, ხმოვანფუძიან სახელებში წარმოითქმის ბოლოკიდური ხმოვანიც, რომელსაც მოსდევს ხმოვანი კავშირის ფუნქციით, ეს მაშინ, როცა ცალკე აღებულ ანალოგიურ სიტყვებში მეორე მარცვლის ხმოვანი საუბარში იკვეცება:

нана а, ваша а (на:на а, ваша а) დედა და ძმა.

ნაზალური ხმოვნები

ნ ბგერის დასუსტება ჩეჩნურში იწვევს წინა ხმოვნის ნაზალიზაციას. როგორც ზემოთ ითქვს, ნაზალური ბგერის ფიქსაცია ერთმარცვლიან სიტყვებში ხდება, ე. ი. ერთმარცვლიან სიტყვათა ბოლოკიდური ხმოვანი თუ ნაზალურია, ამ ხმოვნის მომდევნოდ იწერება -н. იმავე პოზიციაში, მაგალითად, მრავალმარცვლიანებში н არ იწერება.

მოციფიანოთ მაგალითები, სადაც ხმოვანი ნაზალურად ითვლება და მის მომდევნოდ **h** იწერება:

д-ан (იკითხება **д-а**) კეთება

сан (**са**) ჩემი

д-ан (**д-а:**) მოტანა

лан (**ла:**) მოთმენა, ატანა

რამდენიმე ერთმარცვლიან სიტყვაში ბოლოკიდური **h** სრულად წარმოითქმის (და, რა თქმა უნდა, იწერება კიდევც). ასეთი სიტყვებია:

хан ხანი, **дрол**, **кан** თავთავი, **лан** ნალი, **чан** მტვერი

მართალია, სხვა ხმოვნებს აქ არ ვიხილავთ, მაგრამ, ნაზალურ ხმოვანთაგან გარჩევის მიზნით, აქვე მოგვყავს სრულ **h**-ზე დაბოლოებული დანარჩენი სიტყვებიც:

бэн ბუდე, **хэн** მორი, **пэн** კედელი

лин ხევი, **дин** ბედაური (ცხენი), **чин** ჩინი

бун ფარდული, ქოხი, **хьун** ტყე

-**h** იწერება, აგრეთვე, სახელთა ნათესაობით ბრუნვაში, იგი ნათ. ბრუნვის ნიშნის ნაწილია, მის შემადგენლობაში შედის, თუმცა არც იქ წარმოითქმის. თანმედროვე ჩეჩნურში ხმოვანთა ნაზალობა თითქმის მოშლილია, მისი ფიქსაცია ტრადიციას უფრო ემყარება, ვიდრე ენაში არსებულ რეალობას.

დავალება:

1) წავიკითხოთ. ნაზალური ხმოვნები აღნიშნულია ასო-ნიშნით, თუმცა ჩამოთვლილ სიტყვებში ნაზალობა მოშლილია და არ წარმოითქმის:

лан (**ла:**) მოთმენა, ატანა

д-ан (**д-а:**) მოსვლა, მოტანა

тан (**та:**) შერიგება

2) ჩამოთვლილ სიტყვათა ბოლოში წარმოითქმის მკაფიოდ:

хан ხანი, **дрол**, **ан** რევმატიზმი, **чан** მტვერი, **кан** თავთავი

бэн ბუდე, **хэн** მორი, **пэн** კედელი

лин ხევი, **дин** ბედაური, **чин** ჩინი

бун ფარდული, ქოხი, **хьун** ტყე

3) ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს შევადართო შემდეგი სიტყვები, სადაც ბოლოში გვაქვს მარტივი, სადა ხმოვანი:

ча, **са**, **ша**

да (**да:**), **ша** (**ша:**)

თარგმნეთ ჩამოთვლილი სიტყვები.

აზ. ეს არის პალატალური (რბილი) **а** ხმოვანი, რომლის სილბოც წერაში აღნიშნულია **ь** ნიშნით. მაშასადამე, გვაქვს მაგარი **а** და რბილი **а**. იგი არის **ე**-სკენ გადახრილი **ა**. ამგვარ ხმოვნებს სხვაგვარად უმლაუტიან ხმოვნებსაც ეძახიან.

აზ არის წინა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვანი. გვხვდება სიტყვის თავსა და შუაში. მეორეული, უმლაუტიზირებული ხმოვანი ფონემაა, მიღებული **а** ხმოვნის დარბილებით მომდევნო მარცვლის **и** ან **э** (**е**) ხმოვანთა

ზემოქმედებით. მაშასადამე, ჩეხურში აღნიშნული ხმოვანი ფონეტიკურ ნიშნებს გაჩენილი, იგი ფონეტიკური პროცესების შედეგს წარმოადგენს.

მოვიყვანოთ ხმოვნის შემცველი მაგალითები:

даѣтта (даѣтт) [< даѣтти] ერბო

д-аѣсса (д-аѣсс) ცარიელი

аѣшпаш ტყუილი

аѣрха (аѣрх) ჯიუტი

аѣхка ზაფხულში

аѣрта (аѣрт) ბლაგვი, ჩლუნგი

аѣрга (аѣрг) მკვასე, უმწიფარი

бѣщара (бѣщар) მწვანე (შდრ.: ნუც ბალახი)...

ჩეხურში უმლაუტიანი ხმოვნების წინ თანხმოვნები არ რბილდება, როგორც ეს, მაგალითად, ხდება რუსულში.

გავარჩიოთ შემდეგ სიტყვებში:

ინფინიტივი

ნამყო განუსაზღვრელი დრო

ала (а:л) თქმა

აѣлла (аѣлл) თქვა

аха (а:х) ხენა

аѣхна (аѣхн) მოხნა

ата (а:т) ნაყვა

аѣтта (аѣтт) დანაყა

д-ага (д-а:г) წვა

д-аѣгна (д-аѣгн) დაიწვა, დამწვარა

д-ала (д-а:л) დამთავრება, მორჩენა

д-аѣлла (д-аѣлл) დაამთავრა, მორჩა

лаца (ла:ца) დაჭერა

лаѣцна (лаѣцн) დაიჭირა

ნამყო განუსაზღვრელში ჩავარდნილია ი ფორმანტი, რომელმაც გააპალატალა, ნაწილობრივ დაიმსგავსა, ზმნის ფუძისეული ხმოვანი, ე. ი. საქმე გვაქვს ფონეტიკურ პროცესთან, რომელსაც ნაწილობრივი რეგრესული დისტანციური ასიმილაცია ჰქვია.

შევადაროთ, აგრეთვე, ერთმანეთს სიტყვები:

аз ბგერა

– аѣзнаш ბგერები

лам მთა

– лаѣмнаш მთები

ша (ша:) თვითონ (ის)–

шаѣш თვითონ (ისინი)

барз ბორცვი

– баѣрзнаш ბორცვები

балл ბალი

– баѣллаш ბლები

ასევე:

ინფინიტივი

ნამყო უახლესი დრო

харжа (харж) არჩევა

хаѣржи აირჩია

хатта (хатт) კითხვა

хаѣтти ჰკითხა, იკითხა

латта (латт) დგომა

лаѣтти იდგა

ахка (ахк) ბარვა

аѣхки დაბარა

д-аста (д-аст) გახსნა

д-аѣсти გახსნა

დავადლება: მოცემულ სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებისაგან ვაწარმოთ მხ. რიცხვის ფორმები. ვთარგმნოთ ქართულად:

лаѣмнаш, шаѣш, баѣллаш, аѣзнаш

ვთარგმნოთ ჩეჩნურად:
მორჩა, დაამთავრა, მოხნა, დანაყა, თქვა, დაიწვა, დაიჭირა
არჩევა, დგომა, კითხვა, ბარვა, გახსნა, თქმა, დამთავრება, ხვნა, დაჭერა,
წვა, ნაყვა

დავისწავლოთ ზეპირად ნამყო უახლესისა და ნამყო განუსაზღვრელის
ფორმები შესაბამის ინფინიტივებთან ერთად.

გრამატიკული კლასის ნიშნები

გრამატიკული კლასის ნიშანი პრეფიქსს წარმოადგენს. გრამატიკული
კლასის ნიშნები გამოიყოფა:

- 1) ზედსართავ სახელებში (ორ ათეულზე ცოტა მეტი სახელი),
როგორცაა: *д-айн* მსუბუქი, *д-овха* ცხელი, *д-еха* გრძელი...
- 2) “ოთხისა” და მისგან ნაწარმოებ რიცხვით სახელებში: *д-иь* ოთხი, *д-ейтта* ოთხმეტი, *д-езтка* ოთხმოცი...
- 3) დაახლოებით ასამდე ზმნაში: *д-ад-а* გაქცევა, *д-апа* მიცემა, *д-аи*
(გა)კეთება, *д-арста* გასუქება...

სხვა მეტყველების ნაწილთა თითო-ორი სიტყვისათვის (იხ. დანართი).

ჩეჩნურში არსებითი სახელები ჯგუფებიან გრამატიკული კლასების
მიხედვით. გრამატიკული კლასის ნიშანი მხოლოდობით არის ოთხი. არსებითი
სახელის ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილება განისაზღვრება მასთან
შეწყობილი გრამატიკული კლასის ნიშნის მიხედვით. როგორც უკვე ითქვა,
ყველა ზედსართავი სახელი და ყველა ზმნა არ იცვლება გრამატიკული
კლასის ნიშნების მიხედვით.

გრამატიკული კლასის ნიშნები არც ქართულ და არც სხვა ქართველურ
ენებს ამჟამად არა აქვთ.

რა არის გრამატიკული კლასი?

როგორც ზემოთ ითქვა, ჩეჩნურ ენაში არსებითი სახელები მხოლოდობით
რიცხვში ჯგუფებიან ოთხი გრამატიკული კლასის მიხედვით. თითოეულ
კლასს თავისი სპეციალური ფორმანტი, იგივე მარკერი – გრამატიკული
კლასის ნიშანი გააჩნია. არსებითი სახელის ამა თუ იმ გრამატიკული
კლასისადმი კუთვნილების დასადგენად, ჩვეულებრივ, მიმართავენ ხოლმე *д-у*
“არის” ზმნას.

რა თქმა უნდა, *д-у*-ს ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ყველა სხვა
სიტყვა, რომელიც იცვლება გრამ. კლასის ნიშნების მიხედვით.

მაშასადამე, სახელი მართავს მასთან შეწყობილ ცვალებადი გრამ.
კლასის ნიშნის მქონე სიტყვას კლასში. თვითონ სახელში არაფერია ისეთი,
რომლის მიხედვითაც შევძლებდით მისი კლასის ნიშნის დადგენას.

დასკვნა: ჩეჩნურში არსებითი სახელის გრამატიკული კლასის ნიშანი უნდა დაეიმასხოვროთ ამ სახელთან ერთად.

სახელთან შეწყობილი უკლასნიშნო სიტყვები (ზედსართავი სახელები, ზმნები...), რა თქმა უნდა, არ გამოხატავენ არსებითი სახელის კუთვნილებას ამა თუ იმ კლასისადმი.

მოვიყვანოთ არსებითი სახელები, დავაჯგუფოთ ისინი გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით:

к1ант ბიჭი, йо1 (йуо1) გოგო, сту ხარი, борз (буорз) მგელი, бер ბავში, ча დათვი, да (да:) მამა, нана (на:н) დედა, етт (йэтт) ძროხა, пхьагал (пхьа:гал) კურდღელი, ваша ვაშა, марха ღრუბელი, малх მზე, бутт მთვარე, нускал პატარბალი, ло (луо) თოვლი, хьоза (хьо:з) ჩიტი, бепиг (бе:пиг) პური...

სანამ აღნიშნული სახელების გრამ. კლასების მიხედვით დაჯგუფებას შევუდგებით, ჩამოვწეროთ გრამატიკული კლასები.

ვიციტ, რომ ჩეჩნურში მხოლოდ რიცხვში გვაქვს ოთხი გრამატიკული კლასი. ვიციტ ისიც, რომ თითოეულ გრამ. კლასს აქვს თავისი მარკერი პრეფიქსებად,

ესენია: I კლასი – в-; II კლასი – й-; III კლასი – б-; IV კლასი – д-;
მაგალითად, д-у “არის” ზმნა კლასების მიხედვით ასე შეიცვლება:

- I. в-у
- II. ю (й-у)
- III. б-у
- IV. д-у

ზემოთ ჩამოთვლილი სახელები ამ ოთხ კლასში განაწილდებიან შემდეგნაირად:

- I. в-у: к1ант, да (да:), ваша
- II. ю (й-у): йо1 (йуо1), нана (на:н), борз (буорз), ча, пхьагал (пхьа:гал), марха (марх)
- III. б-у: сту, етт, малх, бутт
- IV. д-у: бер, нускал, ло (луо:), хьоза (хьо:з), бепиг (бе:пиг)

მაშასადამე, ენაში არსებული ყველა არსებითი სახელი, მათ შორის ნასესხობებიც, მათი სესხების ქრონოლოგიის მიუხედავად, მხოლოდ რიცხვში ამ ოთხი გრამატიკული კლასის ფარგლებში ნაწილდება.

არ ვიციტ, მაგალითად, თუ რატომ გამოიხატება й- გრამ. კლასის ნიშნით სახელები йо1 (йуо1), нана (на:н), борз (буорз), ча, пхьагал (пхьа:гал), марха (марх) და ა. შ. ან კიდევ რატომ შედიან сту “ხარის”, етт “ძროხის”, малх “მზის”, бутт “მთვარის”... აღმნიშვნელი სახელები III (б-) კლასში, იგივე ითქმის IV კლასზეც.

სახელები, როგორც ითქვა, თავიანთი კლასის ნიშნებით უნდა დაეიმასხოვროთ!

ვიციტ, რომ I (B-) კლასში შედის ყველა ის სახელი, რომელიც გამოხატავს მამაკაცს. ამავე კლასში შედის, აგრეთვე, ღმერთის აღმნიშვნელი дела (დე:ლ): дела B-y ღმერთი არის, ღმერთია.

ვიციტ, აგრეთვე, რომ й- გამოხატავს ქალთა კლასის სახელებს. მაგრამ იგი გამოხატავს რა-ჯგუფის სახელთა (ნივთის კლასის) უმეტესობასაც. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ.

ქალთა კლასის (ვინ-ჯგუფის) სახელებსა და ნივთის კლასის (რა-ჯგუფის) სახელებს შორის განსხვავება კლასში თავს იჩენს მრავლობით რიცხვში, ე. ი. მრავლობითში ხდება გრამატიკულ კლასთა დიფერენციაცია ვინ-ჯგუფისა (ამ შემთხვევაში – ქალთა კლასის) და რა-ჯგუფის (ნივთის კლასის) სახელთა მიხედვით, რაც სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

	ვინ- ჯგუფისა		რა- ჯგუფის სახელები			
	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.
	მამაკ. კლ. სახელები	ქალთა კლ. სახელები				
მხ. რიცხვი	B-	й-	й-	й-	б-	д-
მრ.რიცხვი	I და II პირი д-; III პირი б-	I და II პირი д-; III პირი б-	й-	б-	д-	д-

ამ სქემის მიხედვით ნათელია, რომ ვინ-ჯგუფის სახელები განაწილებულია B- და й- კლასებში, მრავლობითში ორივეს ენაცვლება: I-სა და II პირებში д- , III პირში კი – б-. მაშასადამე, ვინ-ჯგუფის სახელები მრავლობითში ერთნაირ ჩვენებას იძლევიან. აღსანიშნავია, რომ მრავლობითის აღნიშნული კლასის ნიშნებიდან ძირითადია III პირის ჩვენება, ჩეხნური ენის დიალექტთა ნაწილში სწორედ იგი გვაქვს სამივე პირში.

თუ რატომ არის განაწილებული რა-ჯგუფის სახელები ოთხ (იხ. სქემა: III, IV, V, VI) კლასში, როგორც ითქვა, ცნობილი არ არის. რა-ჯგუფის სახელთა უდიდესი ნაწილი შედის й - й კლასში (მხოლოდობითსა და მრავლობითში).

გარდა ამისა, არსებით სახელთა გრამ. კლასის ნიშნები ორივე რიცხვში მოცემულია ზოგ ორენოვან ლექსიკონში. განმარტებითი ლექსიკონი კი ჩეხურ ენას დღემდე არა აქვს.

მაშასადამე:

I (в-; д-/ნ-) კლასში შედის არსებითი სახელები, რომლებიც მამაკაცის კლასს განეკუთვნებიან. ასეთი სახელი ენაში ბევრი არ არის.

дела в-у ღმერთია	да (да:) в-у მამაა
ц1у (ц1у:) в-у ღვთაებაა	к1ант в-у ბიჭია
во1 (вуо1) в-უ ვაჟიშვილია	ваша (ваш) в-უ ძმია
майра (майр) в-უ ქმარია	нуц в-უ სიძეა

II (й-; д-/ნ-) კლასში შემავალი სახელებია:

нана (на:н) ю (й-у) დედაა	зуда (зуд) ю ცოლია
йо1 (йоо1) ю ქალიშვილია	йиша (йиш) ю დაა
нус ю რძალია	деца (де:ц) ю მამიდაა
неца (не:ц) ю დეიდაა	

ვინ-ჯგუფის სახელებს აღნიშნავენ, აგრეთვე, ნათესაობის, ეროვნების, ხელობის, პროფესიის გამომხატველი სახელები.

ამ რიგის სახელთა კლასებად დაყოფა ხდება იმის მიხედვით, თუ ვის გულისხმობენ აღნიშნული სახელით. მაგალითად:

ბიძაშვილი შეიძლება იყოს ქალიცა და კაციც. მაშასადამე, გვექნება: шича (шич) в-უ ბიძაშვილი (კაცი) არის, მაგრამ: шича (шич) ю ბიძაშვილი (ქალი) არის. ასევე, ბიძაშვილთა შვილები ერთმანეთისთვის: маьхча (маьхча) в-უ კაცი არის; маьхча ю ქალი არის; კაცი, ადამიანი: стаг в-უ კაცია, стаг ю ქალია; лор (луор) в-უ ექიმია (კაცი), лор (луор) ю ექიმია (ქალი); директор в-უ დირექტორია (კაცი), директор ю დირექტორია (ქალი) და ა.შ.

студент в-უ სტუდენტია (ვაჟი), студентка ю სტუდენტია (გოგო), американец в-უ ამერიკელია (კაცი), американка ю ამერიკელია (ქალი)... ამ რიგის ნასესხებ სახელებში, ჯერ ერთი, გარჩეულია, ქალია თუ კაცი, რასაც ჩეხური, თავის მხრივ, д-უ “არის” ზმნის მეშვეობითაც განარჩევს.

დავიმახსოვროთ, д-უ “არის” ზმნაში д- კლასის ნიშანია. როცა ამ ზმნას ზოგადი მნიშვნელობით ვიყენებთ, უპირატესად კლასის ამ ნიშანს ვხმარებთ.

დავალება: ლექსიკონიდან ამოვიწეროთ ჩეხური ხელობის, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობითში, მივუთითოთ გრამ. კლასის ნიშნები.

ანალოგიურად ამოვიწეროთ ეროვნების აღმნიშვნელი სახელებიც.

რა-ჯგუფის სახელთა კლასებად განაწილების შესახებ ზოგ ცნობას ქვემოთ თანდათან გავცნობით. თუმცა ცნობილია, რომ ჩეხურში რა-ჯგუფის სახელთა კლასებად დაყოფის პრინციპი (თუ პრინციპები) გარკვეული არ არის.

თანხმოვნები I და xხ

კიდევ ერთხელ დაეუბრუნდეთ I და xხ თანხმოვნებს, რომლებიც უცხოა ქართული ენისათვის. როგორც ითქვა, I და xხ ფარინგალური სპირანტი ბგერებია, ხორხისმიერია (ბერძნული *ფარინგსი* – ხორხი). ფარინგალური სპირანტი ბგერები ჩვეულებრივია მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ამ ორი ბგერიდან I მჟღერი სპირანტია, xხ კი – ყრუ სპირანტი.

წავიკითხოთ, გადავიწეროთ და დავიმახსოვროთ შემდეგი სიტყვები, რომლებიც ამჯერად მოგვაქვს შესაბამის კლასის ნიშნებთან ერთად:

ზამთარი; ვაშლი; ტბა, ტბორი; გოგო, ქალიშვილი; ვაჟიშვილი; ფრჩხილი; ბუნება; ძაღლი; მამალი...

ქლიავ ი, ტყემალი; პირუტყვი, საქონელი; კურდღელი; თამადა, მეთაური; წინათ...

ი თანხმოვნიანი დიფთონგები

თანხმოვანთა განხილვისას ითქვა, რომ ი არის შუა ენისმიერი სონორი სპირანტი. ხმოვნის მომდევნოდ იგი ერწყმის წინა ხმოვანს. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იგი თითქმის კარგავს თანხმოვნის თვისებას და ხდება დიფთონგის შემადგენელი ნაწილი. მაშასადამე, დიფთონგი ჩეჩნურში იქმნება სრული ხმოვნისა და ი ბგერის შერწყმის შედეგად (დიფთონგების წარმოქმნაში სხვა ბგერებიც იღებენ მონაწილეობას, ის. ქვემოთ). შევადაროთ სიტყვები:

гайта ჩვენება; кхайкха დაძახება; дуй (ნ-) ფიცვი; буй (ნ-) მუშტი; нуй (ნ-) ცოცხი; сай (ნ-) ირემი; тай (д-) ძაფი...

შდრ., აგრეთვე, კლასნიშნიანი ზმნები:

д-у, მაგრამ й-у (იწერება ю) არის; д-апа მიცემა, მაგრამ й-апа (იწერება япа); д-ада გაქცევა, მაგრამ й-ада (იწერება яда). я, ю რუსულ ენაში ერთი გრაფემით გადმოცემულ დიფთონგებს წარმოადგენენ, ამიტომ შემადგენელ ნაწილებად მათი დაშლა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, я, ю გრაფემებში არ ჩანს ჩეჩნურისთვის დამახასითებელი გრამ. კლასის ნიშანი.

д-у “არის” ზმნის დროთა ფორმები

ამ ზმნას ჩეჩნურში არა აქვს ინფინიტივი, არა აქვს ამ ზმნას ფუძეც. д-у-ში д- გრამატიკული კლასის ნიშანია, -у კი – აწმყო დროის ერთ-ერთი მაწარმოებელი. д-, როგორც ვიცით, ცვალებადი გრამატ. კლასის ნიშანია (да в-у, нана й-у/ю/, 1аж б-у, ж1аьла д-у).

д-у ზმნის ნამყოფ ფორმაა д-ара (д-ар) “იყო”. მაშასადამე:

და в-ара მამა იყო; нана й-ара (яра) დედა იყო; 1аж б-ара გაშლი იყო; ж1аьла д-ара ძაღლი იყო...

დ-უ “არის” ზმნის მყოფადი იწარმოება хила (хил) “ყოფნა” ზმნისაგან, რაც სხვა ზმნაა. მყოფადში გვექნება: хир დ-უ (в-у, ю, н-у) .მოვიყვანოთ იგივე მაგალითები მყოფადში:

და хир в-у მამა იქნება

нана хир ю (й-у) დედა იქნება

1аж хир н-у ვაშლი იქნება

ж1аьла хир д-у ძაღლი იქნება

შევადგინოთ ფრაზები:

ნიშუში:

და хир в-ара მამა იყო; და в-у მამა არის; და хир в-у მამა იქნება;

დედა იყო; დედა არის; დედა იქნება;

ვაშლი იყო; ვაშლი არის; ვაშლი იქნება;

ძაღლი იყო; ძაღლი არის; ძაღლი იქნება;

მადლობის თქმა баркалла ала (баркалл а:л);

баркалла (баркалл)! გმადლობ/გმადლობთ!

შევადაროთ ზმნები:

в-ада (в-ад), яда, н-ада, д-ада გაქცევა

г1атта (г1атт) ადგომა

саца (сац) გაჩერება

латта (латт) დგომა

в-ада-სთან შედარებით г1атта, саца, латта ზმნები არ იცვლებიან გრამატ. კლასების მიხედვით. ანალოგიურ ზმნებთან, რა თქმა უნდა, გვექნება არაოთხი, არამედ ერთი ფორმა ყველა სახელისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნურში ზმნის ინფინიტიური ფორმა ემთხვევა ბრძანებითს. მაშასადამე, კონტექსტის მიხედვით г1атта იქნება როგორც “ადგომა”, ისე “ადეკი”!, саца - “გაჩერება” და “გაჩერდი”!, д-ада “გაქცევა” და “გაიქეცი”! და ა. შ.

ეს ხდება იმიტომ, რომ ინფინიტივის მაწარმოებელი ფორმანტი ორმარცვლიან ზმნებში არ იწერება, რის შედეგადაც ინფინიტივის ფორმა ემთხვევა კატეგორიული ბრძანებითის ფორმას. ზეპირ მეტყველებაში, კონტექსტის მიხედვით, აღნიშნულ სიტყვათა გარჩევა სიძნელეს არ წარმოადგენს – ბრძანებითს ინტონაცია ახლავს (რაც წერისას ძახილის ნიშნით აღინიშნება).

თარგმნეთ ჩეჩნურად:

მამა არის – მამა, გაიქეცი!

დედა არის – დედა, გაიქეცი!

დათვი არის – დათვო, გაიქეცი!

ხარი არის – ხარო, გაიქეცი!

თაგვი არის – თაგვო, გაიქეცი!

კატა არის – კატავ, გაიქეცი!

ча (დათვი) ю; дахка (дахк) (თაგვი) бу; сту (ხარი) бу; циг (კატა) ду

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგადი წესი ჩვენურში არ არსებობს. რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსები ბევრია. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტის წინ ხშირად თავს იხევენ ე. წ. ჩანართი ელემენტები. გარდა ამისა, მრ. რიცხვის წარმოებისას ზოგი სახელის ფუძეში იცვლება ფუძისეული ხმოვანი.

შევეცადოთ, გავერკვეთ, თუ როგორ ეწარმოებათ არსებით სახელებს მრავლობითი რიცხვი ჩვენურში.

არსებით სახელთა მრ. რიცხვის ძირითადი მაწარმოებელი არის ფორმანტი -ш, რომელიც ან პირდაპირ დაერთვის სახელის ფუძეს ან მის წინ ჩნდება რომელიმე ხმოვანი აღნიშნული ფორმანტის ფუძესთან მაერთებლის ფუნქციით. შევადაროთ:

хи დ- წყალი – хи-ш დ- წყლები

книга ю წიგნი – книга-ш ю წიგნები

а лапа (а:лап) დ- ხელფასი – а лапа-ш დ- ხელფასები...

алкханч ю შაშვი – алкханч ю შაშვები

г лант დ- სკამი – г лант დ- სკამები

к ларх ნ- ჩუსტი – к ларх-аш ნ- ჩუსტები

байракх й- დროშა – байракх-аш й- დროშები

чаг лалкх й- (ча:г лалкх) ტურა – чаг лалкх-аш й- ტურები

ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტია -й, რომელიც თავს იხეხს შემდეგ სახელებში:

да (да:) в- მამა – да-й ნ- მამები

хъ аша (хъа:ш) в-/й- სტუმარი – хъ аший (хъе:ший) ნ- სტუმრები

но хчи в-/й- ჩეჩენი – но хчий ნ- ჩეჩენები

როგორც ითქვა, ხშირ შემთხვევაში ფუძის მომდევნოდ ჩნდება ე. წ. ჩანართი ელემენტები ბგერების ან ბგერათკომპლექსის სახით. სახელის ფუძეში ხდება სხვაგვარი ცვლილებებიც.

ამოვიწეროთ ყველა არსებითი სახელი, რომლებიც ამ და წინა მასალაშია მოხმობილი. გამოვიყენოთ ლექსიკონი და მივუწეროთ მრავლობითი რიცხვის ფორმები და გრამატ. კლასის ნიშნები ორივე რიცხვში. ნიმუში:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

нана й- დედა

наной (на:нуой) ნ- დედები

ზოგ არსებით სახელს მრავლობითში სხვა ფუძე ენაცვლება, ე. ი. ასეთი სახელები რიცხვს სუბლექტურად აწარმოებენ. შდრ.:

მხ. რ. стаг в-/й- კაცი, ადამიანი – მრ. რ. нах ნ- ხალხი

ხმოვნები o, o: oь, oь:

ზმნის ინფინიტური (განუსაზღვრელი) ფორმა

დროთა წარმოება. აწმყო

ო ნიშნით ჩეხურში აღინიშნება ოთხი ფონემა (სიტყვათგანმასხვავებელი ბგერა. ესენია:

1. მარტივი o
2. გრძელი o (o:)
3. მარტივი დიფთონგი o (yo/wo)
4. გრძელი დიფთონგი o (yo:/wo:)

დიფთონგთან მიმართებით სიტყვა “მარტივი” პირობითია, რადგან, როგორც ვიცით, დიფთონგი რთული ბგერაა და ორი შერწყმული სეგმენტისაგან შედგება. ამ შემთხვევაში ეს არის y (უფრო ზუსტად – ლათინური w) და o (მარტივი ან გრძელი).

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ხმოვნის წინ ან მომდევნოდ й და y (იგივე w) ბგერები დიფთონგს ქმნიან. გავიხსენოთ სიტყვები кхайкха “დაძახება”, гайта “ჩვენება”, ный (ნ-) “მუშტი”... y არის იგივე в. в კბილბაგისმიერი ბგერაა, დიფთონგის შემადგენლობაში იგი სუსტდება და ხდება წყვილბაგისმიერი მუდერი სპირანტი. დაახლოებით იგივეა, რაც ძველი ქართული ჟ (უმარცვლო უ). დიფთონგის შემადგენლობაშიც კი y ჩეხურში იწერება უცვლელად, в-ს სახით. შდრ.: говр (წარმოითქმის гоур) იო ცხენია.

დავიმახსოვროთ: დიფთონგი, მარტივიცა და გრძელიც, ერთ მარცვალს ქმნის.

მოვიყვანოთ სიტყვები, რომლებიც მარტივ o ხმოვანს შეიცავენ. გავიხსენოთ, რომ ბოლოკიდური ხმოვნები ჩეხურში რედუცირებულია, დავიწროებულია და თითქმის არც წარმოითქმის:

дог1а (дог1) დ- წვიმა	д-оду (д-од) მირბის	молу (мол) სვამს
молха (молх) დ- წამალი	соцу (соц) ჩერდება	д-ог1у (д-о:г1) მოდის

олхазар დ- ფრინველი	лоху (лох) ეძებს
говр (гоур) й- (ю) ცხენი	г1отту (г1отт) დგება

მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც შეიცავენ გრძელ o (o:)-ს:

საკეტი, კლიტე	იჭერს
მოდის	ამბობს
ჩვენ (ერგატივში)	პატივს სცემს, თვლის
მოკლე	იწვის

თარგმნეთ ჩეხურად:

წვიმა არის, წამალი არის, ცხენი არის, ფრინველი არის.

წყალს (წამალს) სვამს, გარბის (მირბის), ცხენი გარბის, ჩერდება, კაცი ჩერდება, იჭერს, ცხენს (ფრინველს) იჭერს, წამალს ეძებს, მამა (დედა) დგება, კაცი (ქალი) მოდის...

გადავიწეროთ სიტყვები, დავაღაგოთ ფუძისეული მარტივი, სადა –სა და გრძელი –ს მიხედვით, ფრჩხილებში ჩაეწეროთ ისე, როგორც იკითხება:

მოდის, წვიმაა, სვამს, აცხობს, ამბობს, იჭერს, ჩვენ (ერგატივში), ჩერდება, გარბის, ფრინველია, ცხენია, იწვის, ეძებს

დავიმახსოვროთ ზოგი არსებითი სახელის მრ. რიცხვის ფორმები:

მს. რიცხვი

говр ю ცხენი არის

დ-ог1а დ-უ წვიმა არის

молха დ-უ წამალი არის

олхазар დ-უ ფრინველი არის

дог1а (до:г1) დ-უ საკეტი არის

ყურადღება მივაქციოთ, რომ ზოგ არსებით სახელს მრ. რიცხვის ფორმანტის წინ გაუჩნდათ -н- თანხმოვანი, რომლის წარმოშობის მიზეზზე (საფუძველზე) აქ არ ვისაუბრებთ. არსებით სახელთა მრ. რიცხვის წარმოებისას ჩნდება სხვა სახის ბგერებიც, ბგერათა კომპლექსებიც კი. ჩამოთვლილი სახელები ამ სახით დავიმახსოვროთ მრავლობითში.

განვიხილოთ დიფთონგები yo, yo:

ორივე ეს დიფთონგი წერისას აღინიშნება o ნიშნით. ზემოთ არაერთხელ ითქვა, რომ დიფთონგი რთული ბგერაა, მისი შემადგენლები ერთმანეთთან მჭიდროდ არის შერწყმული და მათი დაშლა მხოლოდ პირობითად შეიძლება. შემადგენლებს შორის უფრო მკაფიოდ ისმის მეორე ნაწილი.

მარტივი o (yo) დიფთონგია, მაგალითად შემდეგი სიტყვები:

ойла (ойл) й- (ю) ფიქრი

со (соу) მე

хьо (хью) შენ

тхо (тху) ჩვენ

дог (дуог) დ- გული

борз (буорз) й- მგელი

ког (куог) ნ- ფეხი

болх (буолх) ნ- სამუშაო

болх ნ-ан (ნ-а) მუშაობა (სიტყვასიტყ. სამუშაოს კეთება)

болх ნ-о (ნ-уо) მუშაობს (სიტყვასიტყ. სამუშაოს აკეთებს)

мотт (муотт) ნ- ენა, ლოგინი

корта (куорт) ნ- თავი

лор (луор) в-, й- (ю) ექიმი (კაცი, ქალი)

ло (луо) აძლევს

ლექსიკონის დახმარებით თარგმნეთ ზმნები ქართულად (გავიხსენოთ, ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვანს არ ვკითხულობთ):

мала

саца

лаха

д-ада

д-атга

г1атга

баха (ба:х)

ала (а:л)

лаца (ла:ц)

მრ. რიცხვი

говр-аш ю ცხენები არიან

дог1а-н-аш დ-უ წვიმები არის

молха-н-аш დ-უ წამლები არის

олхазар-ш დ-უ ფრინველები არიან

дог1а-н-аш დ-უ საკეტები არის

лара (ლა:რ)
д-ага (д-ა:გ)
гайта
кхайкха

ლექსიკონის დახმარებითვე მიუწეროთ აწმყოს ფორმებიც (თუ არ გვახსოვს). გავითვალისწინოთ: ლექსიკონში ხმოვნის სიგრძე აღნიშნულია თავზე ხაზით და არა გვერდზე ორწერტილით, როგორც, მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში გვხვდება.

პირის ნაცვალსახელები

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I. со (ყო)	вай, тхо (ტყო)
II. хьо (ხყო)	шу
III. и, иза	уьш

მრ. რიცხვის III პირის ფორმას დაწვრილებით უხ ასო-ნიშნების განხილვისას შევეხებით. ამჯერად ვიტყვი, რომ უხ არის დარბილებული, პალატალიზებული ხმოვანი (გერმანული ü-ს მსგავსი ბგერა).

პირის ნაცვალსახელთა გამოყენებით ვაწარმოთ ფრაზები:

со в-у, со й-у (იწერება ю) მე ვარ
хьо в-у, хьо й-у (ю) შენ ხარ
и в-у, и й-у (ю) ის არის

со ву к1ант (და, ლორ, დირექტორ, студент...)

მე ვარ ბიჭი (მამა, ექიმი, დირექტორი, სტუდენტი...)

хьо ву к1ант (და, ლორ, დირექტორ, студент...)

შენ ხარ ბიჭი (მამა, ექიმი, დირექტორი, სტუდენტი...)

и ву к1ант (და, ლორ, დირექტორ, студент...)

ის არის ბიჭი (მამა, ექიმი, დირექტორი, სტუდენტი...)

со ю йо1 (йо1) (ნანა, ლორ, დირექტორ, студентка...)

მე ვარ გოგო (დედა, ექიმი, დირექტორი, სტუდენტი...)

хьо ю йо1 (йо1) (ნანა, ლორ, დირექტორ, студентка...)

შენ ხარ გოგო (დედა, ექიმი, დირექტორი, სტუდენტი...)

и ю йо1 (йо1) (ნანა, ლორ, დირექტორ, студентка...)

ის არის გოგო (დედა, ექიმი, დირექტორი, სტუდენტი...)

რა-ჯგუფის სახელთა დაჯგუფება მხოლოდობითში მოხდება იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს განეკუთვნებიან აღნიშნული სახელები. შდრ.:

и ю говр (пхьагал, ლორ, книга, тетрадь, ча, борз...)

ის არის ცხენი (კურდღელი, წიგნი, რვეული, დათვი, მგელი...)

и ду ц1а (хи, чай, дог, б1аьрг, ж1аьла...)

ის არის სახლი (წყალი, ჩაი, გული, თვალი, ძაღლი...)

и бу сай (лам, корта, ког, бай...)

ის არის ირემი (მთა, თავი, ფეხი, მდელო...)

ადვილი მისახვედრია, რომ ჩეხურში ზმნა არ იცვლება პირების მიხედვით. როგორც ვიცით, დ-უ ზმნა კლასნიშნიანია, სწორედ კლასის ნიშნების მიხედვით იცვლება იგი. მაშასადამე, ჩეხურში “მე ვარ, შენ ხარ, ის არის” იქნება შემდეგნაირად:

со вы, хьо вы, и вы

მე ვარ, შენ ხარ, ის არის (ასე ამბობს ადამიანი, რომელიც მამაკაცია და საუბრობს მამაკაცებზე).

со ю, хьо ю, и ю

მე ვარ, შენ ხარ, ის არის (ასე ამბობს ადამიანი, რომელიც ქალია და საუბრობს ქალებზე).

ასე გვექნება:

со (хьо, и/иза) в-оду (в-од) მე (შენ, ის) გავრბივარ (გარბიხარ, გარბის)

со (хьо, и/изა) й-оду (й-од) მე (შენ, ის) გავრბივარ (გარბიხარ, გარბის)

со (хьо, и/изა) в-огу (в-о:г) მე (შენ, ის) ვიწვი (იწვი, იწვის)

со (хьо, и/изა) й-огу მე (შენ, ის) ვიწვი (იწვი, იწვის)

со (хьо, и/изა) в-ара მე (შენ, ის) ვიყავი (იყავი, იყო)

со (хьо, и/изა) яря (й-ар) მე (შენ, ის) ვიყავი (იყავი, იყო)

со (хьо, и/изა) в-ог1у (в-о:г1) მე (შენ, ის) მოვდივარ

со (хьо, и/изა) й-ог1у მე (შენ, ის) მოვდივარ

ასეა კლასნიშნიან ზმნებში. თუ ზმნა უკლასნიშნოა, ზმნას მხოლოდ ერთ ფორმა ექნება სამივე პირში:

со (хьо, и/иза) соцу (соц) მე (შენ, ის) ვჩერდები (ჩერდები, ჩერდება)...

ე. ი. ქართულში განსხვავებული სამივე ფორმა ჩეხურში გადმოცემულია ერთით. კითხვა ისმის, ასეთ შემთხვევებში როგორ გავარჩიოთ პირი? მაგალითად, ? ამის შესახებ საუბარი უკვე იყო, აქაც გავიმეოროთ: პირის გარჩევა ხდება ძალიან მარტივად, დაუურთავთ შესაბამის პირის ნაცვალსახელს – პირი გარჩეული იქნება. შდრ., ნამყოს ფორმები რუსულ ენაში, სადაც პირის გარჩევა პირის ნაცვალსახელების მეშვეობით ხდება: я (ты, он) писал, читал, работал... ცალკე აღებული писал, читал, работал პირებზე არ მიუთითებს, სამაგიეროდ ინფორმაცია გვაქვს იმის შესახებ, რომ მოქმედებას ასრულებს მამაკაცი (შდრ.: она писала, читала, работала).

თარგმნეთ ჩეხურად:

მე (შენ, ის) არა ვარ (მამაკაცი)

მე (შენ, ის) არა ვარ (ქალი)

ის არ არის (რა-ჯგუფის სახელთა სამივე კლასის მიხედვით)

აგრეთვე:

მე (შენ, ის) ვიყავი (მამაკაცი)

მე (შენ, ის) ვიყავი (ქალი)

ის იყო (რა-ჯგუფის სახელთა სამივე კლასის მიხედვით)

მე (შენ, ის) არ ვიყავი (მამაკაცი)

მე (შენ, ის) არ ვიყავი (ქალი)

ის არ იყო (რა-ჯგუფის სახელთა სამივე კლასის მიხედვით)

გავიმეორეთ პირის ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში:

I. вай ჩვენ (ინკლუზივი), тхo ჩვენ (ექსკლუზივი)

II. шу თქვენ

III. уш ისინი

вай “ჩვენ” (მე და შენ ან მე და თქვენ) ნაცვალსახელის მრ. რიცხვის I პირის ფორმაა, გულისხმობს პირველსა და მეორე პირს, ე. ი. ინკლუზიური ფორმაა (ლათ. *ინკლუზივი* “ჩაეურთავ”, “შევიცავ”).

тхo (тхуo) “ჩვენ” (მე და ის ან მე და ისინი), ესეც “ჩვენ” ნაცვალსახელის მრ. რიცხვის I პირის ფორმაა, გულისხმობს პირველსა და მესამე პირს, ე. ი. ექსკლუზიური ფორმაა (ლათ. *ექსკლუზივი* “გამოვრიცხავ”).

I პირის ნაცვალსახელის ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები მრ. რიცხვში ქართველური ენებიდან ცნობილია სვანურში.

“ჩვენ ვართ, თქვენ ხართ”, “ჩვენ ვიყავით, თქვენ იყავით” ჩეჩნურში იქნება ასე:

вай д-у, тхo д-у ჩვენ ვართ

вай д-ара, тхo д-ара ჩვენ ვიყავით

шу д-у თქვენ ხართ

шу д-ара თქვენ იყავით

III პირში - კლასის ნიშანს ენაცვლება

уш н-у ისინი არიან

уш н-ара ისინი იყვნენ

უკლასნიშნო ზმნები ყველა პირსა და რიცხვში ერთ ფორმას გვიჩვენებენ. შდრ.:

со (хьo, и; вай/тхo, шу, уш) ловзу...

მე (შენ, ის; ჩვენ, თქვენ, ისინი) ვთამაშობ...

მაშასადამე, ზმნა ქართულში იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, რის მიხედვითაც ქართულში გვაქვს 6 ფორმა – 3 მხოლოდობითში და 3 მრავლობითში. ექვსივე ფორმას ჩეჩნურში შეესატყვისება ერთი. პირისა და რიცხვის გარჩევა, როგორც ზემოთაც ითქვა, ხორციელდება სათანადო ნაცვალსახელის დართვით.

მოვიყვანოთ გრძელი (იწერება) დიფთონგიანი მაგალითები:

г1o (г1yo:) წადი!

тоха (тоо:х) დარტყმა

ло (лоо:) მიეცი!

д-оха (д-yo:х) დანგრევა

ло (лоо:) თოვლი

тола (тоо:л) გამარჯვება

цо (цоо:) მან

д-ожа (д-yo:ж) დაცემა

нохчо (ноохчоо:) ჩეჩენი

го (гоо) ხედავს

წავიკითხოთ:

со нохчо в-у

მე (კაცი) ჩეჩენი ვარ

со нохчо ю (йу)

მე (ქალი) ჩეჩენი ვარ
 დავისწავლეთ შემდეგი სიტყვები:
 вон (вуо:) ცუდი, ცუდად
 сацо (сацуо:) გაჩერება (გარდ.)
 лазо (лазуо:) ტკივილის მიყენება
 мало (малуо:) დაღვეინება
 гIатто (гIаттуо:) აყენება
 д-аго (д-а:гуо:) დაწვა (გარდ.)...

ზემოთ ჩამოთვლილი ზმნები (сацо, лазо, мало, гIатто, д-аго) შევადაროთ იმავე ზმნათა გარდაუვალ ფორმებს. ამოვიწეროთ მათი ქართული შესატყვისები ლექსიკონიდან:

саца, лаза, мала, гIатта, д-ага (д-а:га)

მაშასადამე, ფონემები *o*, *o:*, *o* (*yo*), *o:* (*yo:*) ჩეჩნურში აღინიშნება *o* ასონიშნით – ოთხი ფონემა იწერება ერთი გრაფემით, ასონიშნით. ეს არის ჩეჩნური ანბანის ერ-ერთი ძირითადი ნაკლი.

ოხ ბგერა

ეს ბგერა ჩეჩნურში არის როგორც მარტივი, ისე გრძელი. **ოხ** წარმოადგენს რბილ ლაბიალიზებულ *o* ხმოვანს. ამ ბგერის წარმოთქმისას ენა წაიწვევს წინ, ენის ზურგი აიწვევა, ენის ძირი კი უკან გადაიწვევს. ენის წვერი ეხება ქვედა წინა კბილებს.

წავიკითხოთ სიტყვები, დავისწავლეთ ისინი ზეპირად:

оьзда ზრდილი, კულტურული
 оьрси в-, й- რუსი
 доьшка (доьхк) დ- ქამარი
 д-оьтти დაასხა (შდრ. д-отта დასხმა)
 хоьтти გადააბა (შდრ. хотта გადაბმა)

ოხ (ოხ:) ბგერა მარტივი **ოხ-ს** გრძელი ვარიანტია. იგი ფონემას წარმოადგენს.

წავიკითხოთ მაგალითები:

оьшу (оь:ш) აკლია, საჭიროა, სჭირდება [იჲ:ша (იწერება эша) “დაკლება”, “საჭიროება” ზმნის აწმყო]

лоьху (лоь:х) ეძებს [леха (ле:х) “ძებნა” ზმნის აწმყო]
 доьшу (доь:ш) სწავლობს [деша (де:ш) “სწავლა” ზმნის აწმყო]
 в-оьду (в-оь:д) მიდის [в-аха “წასვლა” ზმნის აწმყო]
 в-оьлу (в-оь:л) იცინის [в-ела (в-е:л) “სიცილი” ზმნის აწმყო]
 лоьру (лоь:р) თვლის [лепа (ле:р) “პატივს სცემს” ზმნის აწმყო]
 лоьцу (лоь:ц) იჭერს (მრავალგზისი) [леца (ле:ц) “ჭერა” ზმნის აწმყო]
 доьзал (доь:зал) ნ- ოჯახი
 соьца (соь:ц) ჩემთან (со ნაცვალსახელი თანაობით ბრუნვაში)

ТХОЬЦА (ТХОЬ:Ц) ჩვენთან (ТХО ნაცვალსახელი თანაობით ბრუნვაში)
 ТХОЬГА (ТХОЬ:Г) ჩვენთან (ТХО ნაცვალსახელი მიმართულებით I ბრუნვაში)
 ХЬОЬЦА (ХЬОЬ:Ц) შენთან (ნაცვალსახელი თანაობით ბრუნვაში)
 ХЬОЬГА (ХЬОЬ:Г) შენთან (ნაცვალსახელი მიმართულებით I ბრუნვაში)
 დავალება: ჩამოთვლილი სიტყვები ვთარგმნოთ ჩეჩნურად:
 დაკლება, ძებნა, სწავლა, სიცილი, ჩერდება, ჩემთან (თანაობითსა და მიმართ-ში), ჩვენთან (თანაობითსა და მიმართულებითში), შენთან (თანაობითსა და მიმართულებითში), ოჯახი.

ჩამოთვლილი სიტყვები დავაღაგოთ ფუძეში **ОЬ-ს** ან **ОЬ:-ს** მიხედვით:

ЛОЬХУ ეძებს (მავალგზისი)	ЛОХУ ეძებს (ერთგზისი)
ДОЬШУ სწავლობს	ЛОЬРУ თვლის, პატივს სცემს
ЛОЬЦУ იჭერს	В-ОЬЛУ იცინის
Д-ОЬТТИ დაასხა	ТХОЬЦА ჩვენთან (თანაობითი)
СОЬЦА ჩემთან (თანაობითი)	ТХОЬГА ჩვენთან (მიმართ. I)
ХОЬТТИ გადააბა	ХЬОЬЦА შენთან (თანაობითი)
ОЬЗДА ზრდილი	ОЬРСИ რუსი
ДОЬХКА ქამარი	ХЬОЬГА შენთან (მიმართ. I)
СОЬГА ჩემთან (მიმართ. I)	

შდრ., დავისწავლოთ:

СОЬЦА – СОЬГА
 ХЬОЬЦА – ХЬОЬГА
 ТХОЬЦА – ТХОЬГА

გავიმეოროთ ჩამოთვლილი სიტყვები, არსებითი სახელები დავიმასხოვროთ კლასის ნიშნებთან ერთად:

БОЛХ (буолх) ნ- სამუშაო	ОЛХАЗАР დ- ფრინველი
МАЛХ ნ- მზე	МОЛХА დ- წამალი
ХАЬАР დ- ამბავი	МАХ ნ- ფასი
НАХ ნ- ხალხი	ВОРХ1 (вуорх1) შვიდი
ХАЗА ღამაზი	БАРХ1 რვა
ХАЛА ძნელი	Х1ОРШ ესენი
ХАА (хаа) ცოდნა	ХАЬЬ იცის (ვიცი, იცი)
Х1ИНЦА ახლა	Х1УМА Й- ნივთი, საგანი

Х1АЬ დიად, კი
МИЛА (МИЛ) ვინ?
Х1УН (Х1У) რა?
Х1УНДА რატომ?
Х1АН (Х1А) აჰა
Х1АН-Х1А (Х1А:-Х1А) არა

х1умма а (х1уммаъ) არაფერო

თარგმნეთ ქართულად:

ნოხჩი (ნუოხჩი) //ნოხჩო (ნუოხჩუო:)

Х1ара студент ву (ю). Х1орш студенташ бу.

Х1ара нохчи ву (ю). Х1орш нохчий бу.

Со (хьо, и) нохчи ву. Со (хьо, и) нохчи ю. Вай (тхо, шу) нохчий ду. Уьш нохчий бу.

Со (хьо, и) нохчи вац. Со (хьо, и) нохчи яц.

Вай (тхо, шу) нохчий дац. Уьш нохчий бац.

Хьо (х1ара) нохчи ву (ю)? Хьо нохчи вуй (юй)?

Х1аъ, со нохчи ву (ю).

Х1ан-х1а, со нохчи вац (яц).

Тхо нохчий дац.

Шу нохчий дац.

Уьш нохчий бац.

Х1ара мила ву (ю)? Х1ара х1ун ю?

Х1ара книга ю.

Х1ара ктига яц, х1ара тетрадь ду.

გავიხსენოთ სიტყვები, სადაც ხь, I ბგერები გვაქვს:

хьо შეხ	хьаша в-, й- სტუმარი
хьотьца შენთან (თანაობ.)	сахьт д- საათი
хьобга შენთან (მიმართ. I)	хьалха წინათ, უწინ
ахья შეხ (ერგატივი)	цхьаъ ერთი
хьайба й- კომში	хьаж д- შუბლი
хьал д- ქონება	1у в- მწვემსი
1а д- ზამთარი	1аж б- ვაშლი
1ай ზამთარში	1айг б- კოვზი
1ам б- ტბა, ტბორი	

ვთარგმნოთ ფრაზები ჩეხნურად. ყურადღება მივაქციოთ არს. სახელის კლასის ნიშნებს, რომელთა მისედვითაც იცვლება ზმნის კლასის ნიშანი:

ის (ეს) ვინ არის?

ეს (ის) არის სტუმარი (ქალი, კაცი).

ეს არის ძმა (დედა, მამა, და, ექიმი, დირექტორი).

ეს (ის) რა არის?

ეს (ის) არის საათი (სკამი, წიგნი, ტბა, კომში).

ეს არ არის ხელი, ეს არის თითი.
ეს არ არის ვაშლი, ეს არის კომში.

ვთარგმნოთ ქართულად:

X1ara хи ду. X1ara чай ду. И чай дац, хи ду. X1ara хи дац, чай ду. Иза хьун ю.
X1orш нах бу. X1orш сахьташ ду. X1orш книгаш яц, тетрадаш ду. Тахана (тахан)
(დღეს) малх бу. X1ara бутт бу. Со (хьо) хьаша ву. Соьца хьаша ву (ю). Хьобьца хьаша
вац, доттаг1 (дуоттаг1) ву. Со нохчо (нуохчуо) ву (вац; ю, яц). Хьо г1алг1а (г1алг1а:) ву
(вац; ю, яц).

დავიმახსოვროთ კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

сан ჩემი, вайн (вай) ჩვენი (ინკლუზიური), тхан (тха) ჩვენი (ექსკლუზიური)
хьан (хьа) შენი, шун (шу) თქვენი

ამ ნაცვალსახელებში ბოლოკიდური н ძალიან სუსტია, იწერება, მაგრამ არ წარმოითქმის.

X1ara мила ву? X1ara тхан лор ву (ю). Хьан книга мичахь ю? Сан книга соьгахь
(со ნაცვალსახელის ადგილობითი ბრუნვის ფორმა) ю. Книга соьгахь яц, хьогахь
ю. X1ara шун университет ю? Ю, x1ara тхан университет ю.

X1ara сан да (да:) ву. X1ara сан нана (на:н) ю. X1ara сан ваша ву. X1ara сан
йиша ю.

X1orш тхан книгаш ю. Иза хьан тетрадь дац, сан ду.

წავიკითხოთ სიტყვები:

хьал д- ქონება	1у в- მწვემსი
1а д- ზამთარი	1аж б- ვაშლი
1ай ზამთარში	1айг б- კოვზი
1ам б- ტბა, ტბორი	1аьржа შავი
во1 (вуо1) в- ვაჟი, ვაჟიშვილი	б1аьста გაზაფხულზე
м1ара (м1а:р) б- ჩანგალი	м1ара (м1а:р) й- ფრჩხილი

გავარჩიოთ ერთმანეთისაგან I და ხვ ბგერები:

хьаж дშუბლი	1аж б- ვაშლი
ахьа დაფქვა	1а д- ზამთარი
хьайба й- კომში	1айг б- კოვზი
сахьт д- საათი	б1аьрг б- თვალი (б1аьргаш д-)

დავიმასხოვროთ ზოგი სახელის მრ. რიცხვის ფორმები:

თარგმნეთ:

ეს არის შავი ცხენი (ან: ეს შავი ცხენი არის). ცხენი თეთრი არ არის, შავია (შავი არის), წითელია. ეს ცხენი ჩემი არ არის, შენია. ესენი ჩვენი (თქვენნი) ცხენები არიან.

ვაშლი წითელია (წითელი არის). ჩემი ვაშლი დიდია.

თვალეები ღამაზია. შენი თვალეები შავია.

ეს ძაღლია. ძაღლი დიდია. ძაღლი შავია.

გაკვეთილი № 4

ზმნის განუსაზღვრელი ფორმა

ზმნის განუსაზღვრელი ფორმა იგივეა, რაც ინფინიტივი. ეს არის ზმნის ყველაზე ზოგადი ფორმა. სწორედ ინფინიტივის ფუძისაგან იწარმოება დროები, ზმნის სხვა კატეგორიები. ინფინიტივის მაწარმოებელი ჩეხნურში არის -и სუფიქსი, რომელიც ზმნურ ფუძეს ძირითადად a ხმოვნით უკავშირდება.

მარტივი ზმნური ფუძეები ჩეხნურში თანხმოვნებზე ბოლოვდებიან. ინფინიტივის მაწარმოებელიც თანხმოვანია და, აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ხმოვანი, რომელიც ფუძეს დააკავშირებს ინფინიტივის მაწარმოებელ სუფიქსთან.

დავიმასხოვროთ: ორ და მეტმარცვლიან ზმნებში არ წარმოითქმის ინფინიტივის მაწარმოებლის ფუძესთან მაკავშირებელი ხმოვანიც. ამის მაგალითები წინა მასალაში ბევრი გვაქვს, აქაც გავიმეოროთ. შდრ.:

ერთმარცვლიან ზმნათა ინფინიტიური ფორმები

д-ан (д-а) კეთება

д-ан (д-а:) მოსვლა, მოტანა

ган (га) დანახვა

და ორმარცვლიან ზმნათა ინფინიტიური ფორმები:

д-ада (д-ад) გაქცევა

саца (сац) გაჩერება

мала (мал) დაღევა

хатта (хатт) კითხვა

лаха (лах) ძებნა

д-аа (д-аѣ) ჭამა

тола (туо:л) გამარჯვება

гIатта (гIатт) ადგომა

д-ага (д-а:г) წვა

тоха (туо:х) დარტყმა

ბრძანებითი კილოს ფორმები

მცირე გამონაკლისის გარდა ორმარცვლიანი ზმნები ჩეხურში წარმოადგენენ ბრძანებითის ფორმებსაც.

გამონაკლისს ქმნიან ერთმარცვლიანი ან ორ და მეტფუძიანი უღლების ზმნები, რომლებიც თავისებურად იუღლვიან. ჩვენ გამოვყავით მსგავსი 21 ზმნა, რომელთაგან 17 ერთმარცვლიანია და თავისებურად იუღლვის, 3 ორფუძიანი უღლების პრინციპით იცვლება, 1 კი – ოთხფუძიანი უღლების პრინციპით (იხ. დანართი: თავისებური უღლების ზმნები, ორფუძიანი უღლების ზმნები, ოთხფუძიანი უღლების ზმნა).

საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფინიტივი და ბრძანებითის ფორმები, წარმოების თვალსაზრისით, განსხვავებულია. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითები, რომელთა ანალიზი ნათლად დაგვანახებენ მათ შორის განსხვავებას:

ინფინიტივი:

сац-а გაჩერება, სადაც ფუძის მომდევნო ხმოვანი (იგივე მეორე მარცვლის ხმოვანი) მაერთებელი ხმოვანია ფუძისა ინფინიტივის მაწარმოებელ ფორმანტთან. ორმარცვლიან ზმნებში, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ინფინიტივის მაწარმოებელი -и ფორმანტი არ იწერება, არც გამოითქმის. აქედან გამომდინარე ბოლოკიდურ პოზიციაში აღმოჩნდება აღნიშნული а ხმოვანი, ამ პოზიციაში კი არც ხმოვანი გამოითქმის, მაგრამ იწერება.

ბრძანებითი: ზმნის იგივე ფორმა, რაც ორმარცვლიან ინფინიტივებში გვაქვს, ემთხვევა ე. წ. ბრძანებით I-ს, ამ შემთხვევაში II მარცვლის а ხმოვნის ფუნქცია არის არა ზმნის ფუძის შეერთება ინფინიტივის მაწარმოებელთან, არამედ ბრძანებითის მაწარმოებელი სუფიქსი. მიუხედავად ასეთი ფუნქციური განსხვავებისა, ხმოვანი საუბარში არც ბრძანებითში წარმოითქმის.

შევედაროთ:

ინფინიტივი	ბრძანებითი I
д-ад-а გაქცევა	д-ад-а გაიქეცი!
мал-а დაღევა	мал-а დალიე!
хатт-а კითხვა	хатт-а იკითხე!
глатт-а ადგომა	глатт-а ადექი!
сац-а გაჩერება	сац-а გაჩერდი!
ловз-а თამაში	ловз-а ითამაშე!
ахк-а ბარვა	ахк-а დაბარე!
лах-а ძებნა	лах-а ეძებე!
д-а-а (д-аъ) ჭამა	д-а-а (д-аъ) (შე)ჭამე!

тол-а (туо:л) გამარჯვება тол-а (туо:л) გაიმარჯვე!

ზმნათა ერთ ჯგუფს ინფინიტივში *a*-ს ნაცვლად აქვს *-ი* (*-yo:*) დაბოლოება. ასეთი ზმნები ჩეხურში გარდამავალია, მათი რაოდენობა შეზღუდულია, იწარმოებიან გარდაუვალთაგან. შევადაროთ:

сац-а გაჩერება (ჩერდება *გარდაუვალი*) და сац-и (сац-yo:) გაჩერება (აჩერებს *გარდამავალი*)

мал-а დალევა (სვამს *გარდაუვალი*) და мал-и (мал-yo:) დალევა (ასმევს *გარდამავალი*)

ловз-а თამაში (თამაშობს *გარდაუვალი*) და ловз-и (ловз-yo:) თამაში (ათამაშებს *გარდამავალი*)

глат-а ადგომა (დგება *გარდაუვალი*) და глат-и (глат-yo:) ადგომა (აყენებს *გარდამავალი*)

დავალება: ამოვიწეროთ ლექსიკონიდან *ი-ზე* დაბოლოებული ზმნები დროთა ფორმებით.

აწმყოს წარმოება

ჩეხურში აწმყოს ორი სახეობა აქვს – მარტივი და რთული.

მარტივი ფორმა იწარმოება ინფინიტივის ფუძისაგან *-y* ან *-a* ფორმანტების მეშვეობით. გამონაკლისს ამ შემთხვევაშიც ერთმარცვლიანი და ორ და მეტფუძიანი უღლების ზმნები წარმოადგენენ, რომელთაც *-ი* (*yo*), *-იხ*, *-ი* (*-w*) ფორმანტები აქვთ აწმყოში (იხ. დანართი: თავისებური უღლების ზმნები, ორფუძიანი უღლების ზმნები, ოთხფუძიანი უღლების ზმნა. **დავალება: დავიზეპიროთ აღნიშნული ზმნები თავიანთი დროთა ფორმებით).**

მარტივი (ორმარცვლიანი) ზმნის ნაწილი, რომელსაც მოკვეცილი აქვს *II* ხმოვანი, ზმნის ფუძეს წარმოადგენს. მარტივი ზმნური ფუძეები, იმავე გამონაკლისების გარდა, თანხმოვანზე ბოლოვდებიან.

როგორც სხვა შემთხვევებში, აწმყოს წარმოების დროსაც *-y* ან *-a* სუფიქსები არ წარმოითქმის.

იმ შემთხვევაში, თუ აწმყოს ფუძეში გვაქვს ლაბიალური *-ი* ან *-y-* (ან მათი ლაბიალიზებული ვარიანტები *-იხ* და *-yხ-*), აწმყოს მაწარმოებელი არის *-y*.

თუ აწმყოს ფუძეში არის *-e* ან *-ახ-*, მაშინ აწმყოს მაწარმოებლად გვექნება *-a* ფორმანტი. ორივე ეს ფორმანტი აუცილებლად იწერება!

აღსანიშნავია, რომ აწმყოს ფორმაში ფუძისეული ხმოვნები ჩეხურში მკაფიოდ არის გარჩეული.

ამჯერად დავიმასხოვროთ ზმნები, რომლებიც აწმყოს აწარმოებენ *-y* ფორმანტით. ასეთია:

ინფინიტივი	აწმყო
хатт-а შეკითხვა	хотт-у

мал-а დაღეკა	мол-у
д-ада გაქცევა	д-од-у
ала (ა:ლ) თქმა	ол-у (ო:ლ)
кхаба (кха:ბ) შენახვა	кхоб-у (кхo:ბ)
дотта (дуотт) დასხმა	дутт-у (дутт)
д-а-а (д-аъ) ჭამა	д-о-у (д-оъ)
кхосса (кхуосс) სროლა	кхусс-у

თუ როგორ იწარმოება აწმყოს ფორმები ზმნათაგან ფორმანტის მეშვეობით, განვიხილავთ ხმოვნების შესახებ მსჯელობისას.

ლექსიკონში მონახეთ მარტივი ზმნები, რომლებიც აწმყოს აწარმოებენ -უ ფორმანტით. ეურადღება მიაქციეთ ზმნათა ფუძეებს, თუ როგორ იცვლება ფუძისეული ხმოვანი ამ ფორმანტით აწმყოს წარმოებისას. დააჯგუფეთ ზმნები აწმყოში ფუძისეული ხმოვნების ცვლის შესაბამისად.

ზოგ ზმნას ინფინიტივში სხვა ფუძე აქვს, აწმყოში – სხვა. ესენი თავისებური ზმნებია. სანამ განვიხილავდეთ თავისებურ ზმნათა ინფინიტურ ფორმებს, დავიმახსოვროთ რამდენიმე მათგანის აწმყოს ფორმა. ესენი ხშირად ხმარებული ზმნებია. მაგალითად:

- да (და:) в-оьд-у (в-оь:д) მამა მიდის
- нана (ნა:н) й-оьд-у (й-оь:д) დედა მიდის
- борз й-оьд-у (й-оь:д) მგელი მიდის
- бер д-оьд-у (д-оь:д) ბავშვი მიდის
- ж1аьла (ж1аьл) д-оьд-у (д-оь:д) ძაღლი მიდის
- აგრეთვე:
- да в-ог1-у (в-о:г1) მამა მოდის
- нана й-ог1-у დედა მოდის
- борз й-ог1-у მგელი მოდის
- бер д-ог1-у ბავშვი მოდის
- ж1аьла д-ог1-у ძაღლი მოდის
- со в-ог1-у (хьo, и/иза в-ог1-у)
- მე (მამაკაცი) მოვდივარ (შენ მოდიხარ, ის მოდის)
- со й-ог1-у (хьo, и/иза й-ог1-у)
- მე (ქალი) მოვდივარ (შენ მოდიხარ, ის მოდის)
- вай (тхo, шy) д-ог1y
- ჩვენ მოვდივართ (თქვენ მოდიხართ)
- уьш б-ог1-у
- ისინი მოდიან

ნათელია, რომ ჩეჩნურში ეს ზმნები აწმყოში პირს არ განარჩევენ, მაგრამ გარჩეულია კლასი. პირის გარჩევა სათანადო ნაცვალსახელით ხდება.

ანალოგიურად წარმოებს კლასნიშნიან ზმნათა ცვლილებები ჩეჩნურში. ცვალებადი კლასის ნიშნების მქონე ზმნათა რაოდენობა დაახლოებით ასია.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენს ზმნის ფუძე:

ორმარცვლიან ზმნას უნდა ჩამოვაცილოთ -a ან -y დაბოლოება, რაც დარჩება, ის იქნება ფუძე. ასეთი ფუძეები ჩეჩნურში თანხმოვანზე ბოლოვდებიან. გამონაკლისს ქმნიან, როგორც ითქვა, ერთმარცვლიანი ზმნები. გავისხენოთ აწმყოს წარმოების რამდენიმე მაგალითი:

ინფინიტივი	აწმყო
мал-а დაღევა	мол-у სვამს
сац-а გაჩერება	соц-у ჩერდება
лах-а ძებნა	лох-у ეძებს
кхосс-а სროლა	кхусс-у ისვრის
догг-а დასხმა	догг-у ასხამს
олл-а ჩამოკიდება	улл-у ჰკიდებს
тох-а (туо:х) დარტყმა	тух-у (ту:х) არტყამს

ადვილი შესამჩნევია, რომ აწმყოს -y ფორმანტის მეშვეობით წარმოებისას ზმნის a ან y ხმოვნები ცვლილებებს განიცდიან. ნათელია, რომ აქ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე – ფორმანტისეული ლაბიალური -y ხმოვანი ალაბიალებს ზმნის ფუძისეულ a ხმოვანს, იგი იცვლება o-თი (ნაწილობრივი ასიმილაცია). ფუძისეული o ხმოვანი იმავე y-ს გავლენით იძლევა y-ს (სრული ასიმილაცია).

აწმყო, როგორც ზემოთ ითქვა, იწარმოება, აგრეთვე, a ფორმანტითაც. ასეთ შემთხვევაში ზმნის ფუძისეული a ხმოვანი რბილდება (პალატალდება) და იძლევა აჲ-ს. ამ წესის მიხედვით იცვლება დაახლოებით ოციოდე ზმნური ფუძე. ივარაუდება, რომ აწმყოს ფორმანტისეული ხმოვანი მიღებულია ჟ-საგან, რადგან სწორედ ჟ ხმოვანს შეუძლია ფუძისეულ a ხმოვნის გაპალატალდება. ამ პროცესის დამთავრების შემდეგ ჟ რედუცირდება და მის ნაცვლად წერენ (მაგრამ არ წარმოითქმის) ა-ს. შდრ.:

ინფინიტივი	აწმყო
харц-а გაცვლა	хаьрц-а ცვლის
латг-а დგომა	лаьгг-а დგას
ха-а ცოდნა	хаь-а (хаьь) იცის
ла-а ნდომა	лаь-а (лаьь) უნდა
тхьовс-а დაძინება	тхьяьвс-а იძინებს
1овд-а გაწურვა	1аьвд-а წურავს
охьата1-а დახრა	охьятаь1-а იხრება

შენიშვნა:

тхьовс-а დაძინება, 1овд-а გაწურვა ზმნებში ფუძისეული ов (ow) დიფთონგი მიღებულია ავ (aw)-ისაგან, ამიტომაც, რომ აწმყოში გვაქვს аьв (äw) დიფთონგი: ав > ов (aw > ow).

დავალება:

ამოვიწეროთ ზემოთ მოყვანილი ყველა ზმნის აწმყოს ფორმა (დაშლით), მივუწეროთ თითოეულ მათგანს შესაბამისი ინფინიტივი;

ცალკე ამოვწეროთ კლასნიშნიანი ზმნები.

ვცვალოთ კლასნიშნიანი ზმნები “მივდივარ” და “მოვდივარ” პირის ნაცვალსახელებთან ერთად.

ზმნის კითხვითი ფორმები

ვუ “არის” ზმნის კითხვითი ფორმა მასზე -ი ნაწილაკის დართვით იწარმოება. შდრ.:

со вы (ю)

хьо вы (ю)

и, иза вы (ю);

вай, тхо ду

шу ду

уьш бу

со вуй (юй)?

хьо вуй (юй)?

и/иза вуй (юй)?

вай, тхо дуй?

шу дуй?

уьш буй?

ваша вы – მრ. რიცხვი вежарий бу; йиша ю – მრ. რიცხვი йижарий бу

გავიხსენოთ “არის” ზმნის უარყოფითი ფორმებიც აწმყოსა და ნამყოში:

вац (яц, бац, дац); вацара (ва:цар) (яцара, бацара, дацара)

ვთარგმნოთ:

Со Салман (Салма:н) вы.

Со Салман вац, Ахьмад вы.

Ахьмад сан ваша вы. Сан да Мохьмад вы, нана Маржан (Маржа:н) ю.

Хьан да мила вы? Сан да лор вы. Сан ваша студент вы, йиша а студентка ю.

თქვენთვის ცნობილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ფრაზები ჩეხნურად.

თარგმნეთ ჩეხნურად:

მე დედა ვარ.

მე მამა ვარ.

მე ძმა (და) ვარ.

მე ჩეჩენი (ინგუში) ვარ.

ესენი სტუდენტები არიან.

ესენი ჩემი (ჩვენი) ძმები არიან.

ესენი შენი (თქვენი) დები არიან.

ეს დედაშენი არის?
 ეს მამაშენი არის?
 ესენი შენი (თქვენი) ძმები არიან?
 შენ დედა (მამა) ხარ?
 მე ჩემი არა ვარ, მე ინგუში ვარ.

გავიმეოროთ არსებითი სახელები კლასის ნიშნებით, ზმნები, ზედსართავი სახელები. ცვალებადი კლასის ნიშნის მქონე სიტყვებს ხაზი გავუსვათ ქვეშ.

Баркалла!
 გმადლობთ!

გაკვეთილი №5

ხმოვნები: у, у:: уь, уь: (уьй), и, и: (ий)

ხმოვნები: у, у:

აღნიშნული ორი ხმოვანი ჩეხნურში იწერება ერთი ნიშნით – у. у და у: განსხვავებული ბგერებია – პირველი მარტივი, სადა ხმოვანია, როგორც, მაგალითად, ქართული უ. მეორე არის იგივე ხმოვანი, მაგრამ გრძელი.

მარტივი у სიტყვის ყველა პოზიციაშია, თუმცა სიტყვის ბოლოში (ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში) იგი ძალიან მოკლედ ან სულ არ წარმოითქმის. მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც შეიცავენ მარტივ у ხმოვანს:

уд-у ფიცარი არის	зуда ю (й-у) ქალი (ცოლი) არის
урс д-у დანა არის	мукъ б-у ტარი არის
тур д-у ხმალი არის	шура ю (й-у) რძე არის
шу д-у თქვენ ხართ	куй б-у ქუდი არის
нус ю (й-у) რძალი არის	нуц в-у სიძე არის

როგორც ითქვა, სიტყვის ბოლოში у ხმოვანი არც წარმოითქმის. შევადაროთ:

мол-у (мол) სვამს	ол-у (о:л) ამბობს
соц-у (соц) ჩერდება	д-ог-у (д-о:г) იწვის
д-утту (д-утт) ასხამს	д-ухк-у (д-ухк) აყრის; ყიდის

ОБЩ-У (ОБ:II) იღებს, ყიდულობს	ОБЩ-У (ОБ:III) სჭირდება
ЛОБХ-У (ЛОБ:Х) ეძებს	ДОБШ-У (ДОБ:III) სწავლობს
В-ОБЛ-У (ВОБ:Л) იცინის	В-ОБД-У (ВОБ:Д) მიდის...

თარგმნეთ ჩეხნურად: ფიცარი არის; ხმალი არის; თქვენ ხართ; რძალი არის; ქალი (ცოლი) არის; ტარი არის; რძე არის; სიძე არის; ქული არის.

წავიკითხოთ, ვთარგმნოთ: Хlара шура ю. Хlара хи ду. Аса шура молу. Аса хи молу. Ахья шура молу. Ахья хи молу. Цо (цyo) шура молу. Цо хи молу.
 у ду; тур ду; шу ду; нус ю; нуц ву; зуда ю; мукъ бу; шура ю; куй бу.

გრძელი у: მარტივთან, სადასთან შედარებით, უფრო გრძლად წარმოითქმის. მარტივში, სადაში ვგულისხმობთ ჩვეულებრივ, არაგრძელ ხმოვანს, თუმცა у:-ც მარტივია, სადაა, მაგრამ გრძელია. გარდა ამისა, ამ ხმოვნის წარმოთქმისას ბაგეები უფრო მომრგვალებული და წინ წამოწეულია, ვიდრე არაგრძელი у-ს წარმოებისას. მოვიყვანოთ მაგალითები:

урам (у:рам) ბუ ქუჩა	д-уха (ду:ха) ჩაცმა
куз (ку:з) ბუ ხალიჩა	д-уцу (д-у:ц) ბერავს
гlу (гlу:) ю ჭა	д-ужу (д-у:ж) ეცემა
иту (иту:) ю უთო	тулу (ту:л) იმარჯვებს
лу (лу:) ду შველი	узу (у:з) ეწევა

“ჩაცმა” ზმნის აწმყოს ფორმაც у-ზე ბოლოვდება, მაგრამ იგი ემთხვევა “(და)მტვრევა, (და)მსხვრევა, (გა)ტეხა” ზმნის აწმყოს. შეადარეთ:

д-уха (д-у:х) ჩაცმა: д-у:х-у (д-у:х) აწმყო
 д-оха (д-уо:х) მტვრევა, მსხვრევა: д-у:х-у (д-у:х) აწმყო
 დავიმახსოვროთ ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები.

წავიკითხოთ, გავარჩიოთ არაგრძელი (მარტივი, სადა) у და გრძელი у: ერთმანეთისაგან:

шу თქვენ	шу (шу:) ფლატე
узу (у:з) ეწევა	д-ужу (д-у:жу) ეცემა
у ფიცარი	тулу (ту:л) იმარჯვებს
гlу (гlу:) ю ჭა	зуда ю ქალი, ცოლი
иту (иту:) ю უთო	шу д-у თქვენ
лу (лу:) ду შველი	нус ю რძალი
куз (ку:з) ბუ ხალიჩა	нуц ву სიძე

д-ужу (д-у:ж) ეცემა	тулу (ту:л) იმარჯვებს
д-утту (д-утт) ასხამს	х1утту (х1утт) ჩერდება
урам (у:рам) ქუჩა	кхуссу (кхусс) ისვრის
д-уху (д-у:х) ტყდება, იმსხვრევა...	

წავიკითხოთ, ვთარგმნოთ ქართულად:

урам (у:рам) ბუ	д-уха (ду:ха)
куз (ку:з) ბუ	д-усу (д-у:с)
г1у (г1у:) ю	д-ужу (д-у:ж)
иту (иту:) ю	тулу (ту:л)
лу (лу:) ду	узу (у:з)

არსებითი სახელები დავიმახსოვროთ გრამატიკული კლასის ნიშნებთან ერთად.

შევუდაროთ ერთმანეთს ბრძანებითი კილოსა და აწმყოს ფორმები. ვთარგმნოთ ქართულად.

დავიმახსოვროთ, რომ ბრძანებითი კილოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები ემთხვევა ინფინიტივის ფორმებს. გავიხსენოთ, რომ ინფინიტივის ფორმებს ბოლოკიდური ხმოვნები ნაზალური აქვთ, მაგრამ წერაში ხმოვნის ნაზალობა აღინიშნება მხოლოდ ერთმარცვლიან ზმნებში.

ბრძანებითის ფორმები	აწმყო
аха (а:х)!	оху (о:х)
ала (а:л)!	олу (о:л)
лаца (ла:ц)!	лоцу(ло:ц)
ата (а:т)!	оту (о:т)
лаха (лах)!	лоху (лох)
саца (сац)!	соцу (соц)
олла (уолл)!	улли (улл)
дотта (дуотт)!	дутту (дутт)
доха (дуо:х)!	духу (ду:х)
тоха (туо:х)!	туху (ту:х)

ბრძანებითის ფორმები გადავიყვანოთ აწმყოში და ვთარგმნოთ ქართულად:

ара-в-ала (а:р-в-а:л)!	д1а-в-ала (д1а-в-а:л)!
ара-й-ала (а:р-й-а:л)!	д1а-й-ала (д1а-й-а:л)!
ара-б-ала (а:р-б-а:л)!	д1а-б-ала (д1а-б-а:л)!
ара-д-ала (а:р-д-а:л)!	д1а-б-ала (д1а-б-а:л)!
ნიმუში:	
ара-в-олу (а:р-в-о:л)	
д1а-в-олу (д1а-в-о:л)...	

ეთარგმნოთ ჩეჩნურად, დაგაჯგუფოთ სიტყვები ფუძეში არსებული y და y: ხმოვნების მიხედვით (გავიხსენოთ: ჩეჩნურში ზმნა პირის მიხედვით არ იცვლება):

ქალი (ცოლი), უთო, რძე, ჭა, შველი, ვსვამ (სვამ, სვამს), ვასხამ (ასხამ, ასხამს), ვიმარჯვებ (იმარჯვებ, იმარჯვებს), ვეცემი/ვვარდები (ეცემი, ეცემა), ანთია/იწვის, ვჩერდები (ჩერდები, ჩერდება), ვეძებ (ეძებ, ეძებს)...

სიტყვის ბოლო პოზიციაში -ნ ბგერა არ წარმოითქმის. იგი სუსტდება და ანაზალბეს წინა ხმოვანს. ეს არის ფონეტიკური პროცესი, რომელსაც ხმოვნის ნაზალიზაცია ჰქვია. თანამედროვე ჩეჩნურში ნაზალიზებულ ხმოვანს ნაზალობის ელფერი თითქმის დაკარგული აქვს.

სიტყვის ბოლოში -н უცვლელად არის წარმოდგენილი სიტყვებში:

- хан ю ხანი/დრო
- чан ю მტკერი
- кан ну თავთავი
- бен ну ბუდე
- хен ну ხე/მორი
- пен ну კედელი
- тин ду ხევი
- дин ну ბედაური
- хьун ю ტყე
- чин ჩინი (რუსულიდან)

ხმოვნები уь, уьй (уь:)

ამ ხმოვანთა შესატყვისობები ქართულში არა გვაქვს. ორივე მათგანი რბილი, პალატალური ხმოვანია და ერთმანეთისაგან სიგრძით განირჩევიან – ერთი არის სადა, ჩვეულებრივი მარტივი ხმოვანი, მეორე, მასთან შედარებით, გრძელია. პალატალობის მიუხედავად, ისინი წინა ხმოვნებს არ არბილებენ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ჩეჩნურში რბილი თანხმოვნები არა გვაქვს მათი პოზიციის მიუხედავად. აკუსტიკურად ეს ბგერები ჰგვანან ლაბიალურ ი-ს (სადა уь) ან ბ-ს (გრძელი уь:, იწერება уьй). მოვიყვანოთ уь-ს შემცველი მაგალითები (მაგალითები, როგორც არაერთხელ ითქვა, ჩეჩნურში, ჩვეულებრივ, მოგვეყავს კლასნიშნიან ზმნასთან ერთად):

- куьг д-у ხელი
- уьстагI б-у ცხვარი
- туька ю (й-у) მაღაზია
- куьзга д-у სარკე

еуѣха д-у მარილი
 уѣш њ-у ისინი არიან
 бѣрка ю (ѣ-у) ბურთი...

იგივე ბგერა ერთი ჯგუფის ზმნათა აწმყოს ფორმებშიც იქნეს თავს.
 შდრ.:

ინფინიტივი	აწმყო
литта გაწურვა	лѣтту
тилла დახურვა	тѣллу
д-и҃га წაყვანა	д-уѣгу
д-ила დაბანა, გარეცხვა	д-уѣлу
д-илла დადება	д-уѣллу
д-ита დატოვება	д-уѣту
д-итта გარეცხვა	д-уѣтту
д-и҃жа დაწოლა	д-уѣжу...

დავიმახსოვროთ, აწმყოს ფორმებში აწმყოს ფორმანტი у არ წარმოითქმის.. ნათელია, რომ ზმნის ფუძისეული и ხმოვანი პალატალიზებულია (დარბილებულია) ფორმანტისეული у-ს გავლენით: и : у > уѣ : у.

შეადარეთ, აგრეთვე:

ინფინიტივი	აწმყო	ნამყო უახლ.	ნამყო
განუსახდ.			
д-уза ავსება	д-узу	д-уѣзи	д-уѣзна (< д-уѣзина)
д-уста შედარება	д-усту	д-уѣсти	д-устина...

თარგმნეთ ჩეჩნურად:
 რეცხვა - ვრეცხავ (რეცხავ, რეცხავს)
 დაბანა - ვიბან (იბან, იბანს)
 წაყვანა – მიმყავს (მიგყავს, მიჰყავს)
 დაწოლა – ვწვები (წვები, წვება)
 ხელი (არის)
 სარკე (არის)
 მარილი (არის)
 მაღაზია (არის)
 ცხვარი (არის)
 ისინი არიან

ვთარგმნოთ ჩეჩნურად და დავაჯგუფოთ სიტყვები ფუძისეული у და уѣ ხმოვნების მიხედვით:

ქალი, ცოლი	ტოვებს	წვება
ხელი	რძე	ასხამს
მარილი	სარკე	მაღაზია
მიჰყავს	ცხვარი	

ვთარგმნოთ ქართულად:

д-ижа – д-уьжу

д-ига – д-уьгу

აღნიშნული ზმნები ვცვალოთ გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით შემდეგ არსებით სახელებთან ერთად:

бер д-у

йиша ю

ж1аьла д-у

уьстаг1 б-у

нана (на:н) ю

да (да:) в-у

нускал д-у

ваша в-у

ნიმუში: бер д-уьжу ბავშვი წვება...

უь: ხმოვანი უь-საგან, როგორც ითქვა, სიგრძით განირჩევა – იგი უფრო გრძლად წარმოითქმის. წერისას ამ ხმოვნის სიგრძე გამოხატულია й ასო-ნიშნით (уьй). ეს ბგერაც, რა თქმა უნდა, პალატალიზებული ხმოვანია. გვხვდება სიტყვის თავსა და შუაში.

წავიკითხოთ, დავიმახსოვროთ:

буьйса ю დამე

туьйра ду ზღაპარი

нуьйда ю დილი

буьйда უმი

д-уьйжи დაეცა

д-уьйхи დაიმტვრა, გატყდა

туьйхи დაარტყა

туьйли გაიმარჯვა

დავიმახსოვროთ ზოგი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები. ვთარგმნოთ ქართულად:

მხ. რიცხვი

буьйса ю

туьйра ду

куьг ду

куьзга ду

მრ. რიცხვი

буьйсанаш ю

туьйранаш ду

куьйгаш ду

куьзганаш ду

туька ю

туьканаш ю

куьг ду - куйгаш ду სიტყვას მხოლობითში მარტივი, სადა ხმოვანი აქვს, რომელიც მრავლობითში გრძელი სახით არის წარმოდგენილი.

წავიკითხოთ, შევუდართოთ **y:** და **уьй (уь:)** ხმოვნები ერთმანეთს:

иту (иту:) ю	-	буйса (буй:с) ю
г1у (г1у:) ю	-	туьйра (туь:p) ду
куз (ку:з) бу	-	нуьйда (нуь:д) ю
урам (у:рам) бу-		гуьйре (гуь:ре) ю

წავიკითხოთ, ვთარგმნოთ ჩეხნურად:

ტყდება – გატყდა
 ეცემა – დაეცა
 არტყამს – დაარტყა
 იმარჯვებს – გაიმარჯვა
 სარკე დავარდა
 სარკე გატყდა (დაიმტვრა)
 მე (შენ, მან, ჩვენ, თქვენ, მათ) გავიმარჯვე

მე (კაცი) დავეცი (წავიქეცი)
 შენ (კაცი) დაეცი
 ის (კაცი) დაეცა

მე (ქალი) დავეცი (წავიქეცი)
 შენ (ქალი) დაეცი
 ის (ქალი) დაეცა

ბავშვი ეცემა – ბავშვი დაეცა

მე ვიბან ხელს (ხელებს) – ჩვენ ვიბანთ ხელს (ხელებს)
 შენ იბან ხელს (ხელებს) – თქვენ იბანთ ხელს (ხელებს)
 ის იბანს ხელს (ხელებს) – ისინი იბანენ ხელს (ხელებს)

დავიმახსოვროთ: გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი დგას ერგატივში, ობიექტი კი – სახელობითში.

გარდაუვალ ზმნასთან ობიექტი არა გვაქვს, სუბიექტი დგას სახელობითში. მოვიყვანოთ პირის ნაცვალსახელები პირველ ოთხ ბრუნვაში:

მხოლობითი რიცხვი

სახ. со (суо)	хьо (хьюо)	иза, и
ნათ. сан (са)	хьан (хьа)	цуьнан (цуьн)

მიც. суна (су:н)	хьуна (хьу:н)	цунна (цунн)
ერგ. аса (ас)	ахьа (ахь)	цо (цуо:)

მრავლობითი რიცხვი

სახ. вай//тхо (тхуо)	шу	уьш
ნათ. вайн//тхан (тха)	шун (шу)	церан (це:р)
მიც. вайна (вайн)//тхуна (тху:н)	шуна (шун)	царна (царн)
ერგ. вай//оха (о:х)	аша ((аш)	цара (ца:р)

წავიკითხოთ, შევადაროთ პირველი მარცვლის ხმოვნები ერთმანეთს, ვთარგმნოთ ქართულად:

- д-уьллу – д-уьйхи
- д-уьлу – туййхи
- д-уьгу – буййса
- д-уьтту – туййра

ხმოვნები и, ий (и:)

и ხმოვანი ქართული ი-ს ანალოგიურია. გვხვდება ყველა პოზიციაში. მაგალითად:

хи ду წყალი	ирча ულამაზო
и ის (ჩვენ. ნაცვ.)	мила ვინ?
ида რბენა	дика კარგი
или ду სიმღერა	д-ита დატოვება
ира ბასრი	хила ყოფნა
ир-д-ан გალესვა	тилла დახურვა
ирс ду ბედი	д-ила დაბანა
ирхе ю აღმართი	д-ига წაყვანა
исс ცხრა	д-ижа დაწოლა
итт ათი	д-итта გარეცხვა
сиха ჩქარი	

ვთარგმნოთ ჩეხურად, არსებით სახელებს მივუწეროთ შესაბამისი კლასნიშნიანი ზმნები:

წყალი, ბედი, ჩქარი, ვინ (არის)?, კარგი, ბასრი; დაბანა, დატოვება, წაყვანა, დაწოლა, ყოფნა (არის ხოლმე), დახურვა, გარეცხვა.

ზმნათაგან ვაწარმოოთ აწმყოს ფორმები.

დავიმასსოვროთ (ან გავიმეოროთ) ზოგი სიტყვის მრავლობითის ფორმები:

хи ду – хиш ду

мила ву (ю) – муьлш бу?

мила (мил) კითხვა დაესმის მხოლოდ პიროვნების, ვინ ჯგუფის არსებით სახელებს.

ვთარგმნოთ ქართულად. გავისენოთ, მრავლობითის I-სა და II პირებში ვინ ჯგუფის სახელებთან იხმარება ду “ვართ, ხართ” ზმნა, III პირთან – бу “არიან”:

со (суо) ву//ю

вай//тхо (тхуо) ду

хьо (хьюо) ву//ю

шу ду

и (//иза) ву//ю

уьш бу

хьо мила ву?

хьо мила ю?

шу муьлш ду?

уьш муьлш бу?

ჩამოთვლილ ზმნათაგან ვაწარმოთ აწმეოს ფორმები. ვცვალოთ კლასის ნიშნების მიხედვით. ვთარგმნოთ ქართულად:

д-ижа

д-ила

д-ита

д-ига

д-итта

хила

тилла

ნიმუში:

д-ижа – в-уьжу, й-уьжу (юьжу), д-уьжу, б-уьжу...

ვთარგმნოთ ჩეჩნურად:

დადება – დებს

გარეცხვა – რეცხავს

დაწოლა – წეება

დახურვა – (ი)ხურავს

დაცემა – ეცემა

გატეხა – ტყდება

დარტყმა – ურტყამს

გამარჯვება – იმარჯვებს

მარტივ, სადა ი-სგან განსხვავებით გრძელი ი იწერება ი ასონიშანთან ერთად: იი (ტრანსკრიფციით – ი:).

წავიკითხოთ მაგალითები:
 дийца მბობა, თხრობა, მოყოლა
 дийцар დ-უმოთხრობა
 сийна ლურჯი, მწვანე
 шийла ცივი
 нийса სწორი
 дийнахь დღისით
 сий д-у პატივი, ღირსება
 лийча ბანაობა
 хийца გაცვლა (მრავალგზისი)
 г1ийла სუსტი, საცოდავი; მწუხარედ, სევდიანად
 миска ღარიბი, უბედური

წავიკითხოთ, შევადაროთ მარტივი, სადა ი და გრძელი იი (ი:). ვთარგმნოთ ქართულად:

д-ига	д-ийла
д-ила	д-ийца
д-ижа	г1ийла
д-илла	дийнахь
ида	лийча
иза	сий
д-иса	тийна
д-ита	шийла
исс	нийса
итт	миска

დავიძახხოვროთ ზმნის უარყოფითი და კითხვითი (ინტონაციური) ფორმები. ვთარგმნოთ:

буц сийна ю	буц сина яц	буц сийна ю//буц сийна яц?
хи шийла ду	хи шийла дац	хи шийла ду//хи шийла дац?
хьо сиха ву/ю	хьо сиха вац/яц	хьо сиха ву/ю//хьо сиха вац/яц?
шура к1айн ю	шура к1айн яц	шура к1айн ю//шура

к1айн яц?

х1ара мила ву?	х1ара сан ваша ву	х1ара сан да (და:) ву
х1ара мила ю?	х1ара сан йиша ю.	х1ара сан нана (ნა:ნ) ю
и мила ву?	и сан деда (დე:და:) ву	и сан денана (დე:ნა:ნ) ю
уьш муьлш бу?	уьш студенташ бу	уьш сан вежарий бу

დავიმასსოვროთ ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

гергара стаг; гергара нах ნათესავი
гергарло (гергарлуо:) ნათესაობა
деваша (де:ваш) ბიძა (მამის ძმა)
дейиша მამიდა
денана ბებია (მამის დედა)
деда (де:да:) პაპა (მამის მამა)
ненаваша ბიძა (დედის ძმა)
ненада პაპა (დედის მამა)
ненайиша დეიდა
ненанана ბებია (დედის დედა)
ненахо (ненахуо), ненахой დედეული, დედეულები
дехо (дехуо), дехой მამეული, მამეულები

გავისხენოთ და დავიმასსოვროთ ეროვნების გამომხატველ სახელოთა მრავლობითი რიცხვის ფორმები:

нохчо ჩეჩენი
оьрси რუსი
гуьржи ქართველი
х1ири ოსი
жуьгти ებრაელი
суйли ლეკი
г1умкхи ყუმუხი

თარგმნეთ ჩეჩნურად:
მე ჩეჩენი ვარ (ქალი)
შენ რუსი ხარ (კაცი)
ის ქართველი არის (ქალი)
ჩვენ ლეკები ვართ
თქვენ ყუმუხები ვართ
ისინი ებრაელები არიან

მრავლობითი რიცხვის ფორმათაგან ვაწარმოთ ნათესაობითი ბრუნვა:

нохчийн ჩეჩნური, ჩეჩნებისა
оьрсийн რუსული, რუსებისა
х1ирийн ოსური, ოსებისა
гуьржийн ქართული, ქართველებისა

ვთარგმნოთ ქართულად:
со нохчи//нохчо ву/ю.

со нохчийн мотт (муотт) 1амош (1а:муош) ву/ю.

გავიმეოროთ წინა გაკვეთილებზე დასწავლილი სიტყვები:

кад бу ფიალა, ჯამი	кхуза аҗето
кач бу საყელო	кхузара аҗелан
коч ю კაბა	кхузахь аҗ
корта бу თავი	кхуызга ду სარკე
аьхка (аьхка:) ზაფხულში	куй бу ქული
ахка ბარვა	куьг ду ხელი
кхин სხვა	куз (ку:з) бу ხაღიხა
кхана (кха:н) ხვალ	туька ю მაღაზია
кхарза შეწვა, მოხალვა	дукха ბევრი
кхокха бу მტრელი	кхайкха დაძახება
кор бу მსხალი	кан бу თავთავი, ტარო
кор ду ფანჯარა	дика კარგი
къа ду ცოდვა	к1ад-д-ала დაღლა
к1алд ю ხაჭო	к1айн თეთრი
к1ур бу ბოლი	к1а ду ხორბალი
къона (къуо:н) ახალგაზრდა	къорза ჭრელი
къу ву ქურდი	къонах (къуо:нах) ву ვაჟკაცი

ვთარგმნოთ ჩეჩნურად:

ცოდვა, მწარე, ყრუ, დაშორება, ხალხი, ქურდი, ჭრელი, ვაჟკაცი, დაძახება, ხაჭო

ვთარგმნოთ ქართულად. მოიფიქრეთ პასუხები:

- хьо мила ву?
- хьо мила ю?
- х1ара х1ун ю?
- х1орш х1ун ю?
- х1ара х1ун ду?

ვთარგმნოთ ჩეჩნურად. გადავწეროთ:

- ეს არის მამახემი. შენი (მამა) სად არის?
- ის შენი ძმა არის?
- შენი (ძმა) სად მიდის?
- შენი და სახლშია?
- ისინი ჩვენი ბურთებია.
- ბურთები თეთრია.

წავიკითხოთ, გადავწეროთ, ვთარგმნოთ:

Х1ара говр ю.

X1ara san говр ю.
 Сан говр хаза а, дика а ю.
 X1орш тхан говраш ю. И говр сан к1ентан ю.
 Тхан куз хаза бу.
 И ц1а лекха ду. Вайн ц1а хаза ду.
 X1ара шура ю?
 X1ан-х1а, х1ара чай ду.
 Чай шийла ду?
 Дац, чай довха ду.
 Чай довха дуй7
 X1аь, чай довха ду.
 И хьан ваша ву?
 X1ан-х1а, и сан шича ву.
 И хьан нус ю?
 X1аь, и сан нус ю.
 И йо1 цу к1ентан йиша ю?
 X1ан-х1а, и цуьнан зуда ю.

გაკვეთილი №6

ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები

со მე	вай//тхo ჩვენ
хьo შენ	шу oქვენ
и, иза ის	уьш ისინი

III პირის ნაცვალსახელები იგივე ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ. როგორც სქემიდან ჩანს, ჩეხნურში მრავლობით რიცხვში გვაქვს ორი ფორმა – ინკლუზივი ვай და ექსკლუზივი тхo. ინკლუზივი აერთიანებს პირველსა და მეორე პირებს, მოუბარსა და მსმენელს, ექსკლუზივი კი გამორიცხავს მეორე პირს, მსმენელს და გულისხმობს პირველსა (მოუბარს) და მესამე პირებს.

გავიხსენოთ, აგრეთვე, რომ ჩეხნურში ზმნა არ იცვლება პირების ან გრ. კლასის ნიშნების მიხედვით. მაგრამ ზმნათა (ზედსართავ სახელთა) ერთი ნაწილი კლასის ნიშნების მიხედვით ცვალებადია.

შემდეგი ზმნებისაგან ვაწარმოოთ აწმყოს ფორმები:

გარდაუვალი: лийча ბანაობა, в-ала (в-а:л) მორჩენა, დამთავრება, саца გაჩერება... გარდამავალი: ала (а:л) თქმა, лаца (ла:ц) დაჭერა, мала დაღევა, лаха მოძებნა... გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი ერგატივში დგას (ნიმუშები იხილეთ ქვემოთ):

со луйчу	вай//тхо луйчу
хьо луйчу	шу луйчу
и, иза луйчу	уьш луйчу

ნათელია, რომ ზმნის ფორმა არ იცვლება, ის აწმყოს გამოხატავს და არ მიუთითებს არც პირზე, არც რიცხვზე. პირის და რიცხვის გამოსახატავად კონტექსტის შესაბამისი ნაცვალსახელის გამოყენებაა საჭირო.

ანალოგიურად იწარმოება აწმყო ზემოთ ჩამოთვლილი ზმნებისაგანაც. შდრ.:

со (хьо, иза, вай//тхо, шу, уьш) ловзу;
со (хьо, иза, вай//тхо, шу, уьш) в-олу (в-о:л)

გარდამავალ ზმნებთან ყველა ეს ნაცვალსახელი იქნება ერგატივში:

аса (ахьа, цо; вай//оха, аша, цара) лоцу;
аса (ахьа, цо; вай//оха, аша, цара) молу...

ამავე ზმნათა აწმყოს აღწერითი ფორმები იქნება:

со луйчуш в-у მე (კაცი) ვბანაობ (ზედმიწევნით: ბანაობაში ვარ)
со луйчуш й-у (ю) მე (ქალი) ვბანაობ
со ловзуш в-у მე (კაცი) ვთამაშობ (ზედმიწევნით: თამაშში ვარ)
со ловзуш ю მე (ქალი) ვთამაშობ

მოცემულ შემთხვევებში შეიძლება I პირის ნაცვალსახელის შეცვლა დანარჩენი პირის ნაცვალსახელებით.

со ваьлла მე მოვრჩი	вай//тхо девлла
хьо ваьлла	шу девлла
и ваьлла	уьш бевлла

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელები პასუხობენ კითხვაზე хьенан “ვისი” ან стенан “რისა”. მოვიყვანოთ მაგალითები:

сан ჩემი	вайн, тхан ჩვენი
хьан შენი	шун თქვენი

цუьнан მისი

церан მათი

ამ ფორმებში ბოლოკიდური ნ ბგერა სუსტია და წინა ხმოვანს ანაზალებს, შეიძლება ითქვას, იგი არც წარმოითქმის, თანამედროვე ჩეჩნურში კი ხმოვნის ნაზალობაც მოშლილია.

ეს ნაცვალსახელები არსებით სახელებთან დგანან, სახელის ბრუნებისას ისინი არ იცვლებიან. შეადარეთ:

სახ. x1ун რა? сан куй ჩემი ქუდი

ნათ. стенан რისა? сан куйьнан

მიც. стенна რას? сан куйьнна

ერგ. сте რამ? сан куйьно

კუთვნილებით ნაცვალსახელებს ეწარმოებათ დამოუკიდებელი ფორმებიც. დამოუკიდებელია კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელსაც დაერთვის ფორმანტი -иг და იხმარება ცალკე, არსებითი სახელის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ხდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის გაარსებითება, გასუბსტანტივება. მას კითხვაც არსებითი სახელისა აქვს და არსებითი სახელია. დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელებია:

сайниг	ჩემი	вайниг//тхайниг	ჩვენი
хьайниг	შენი	шуйниг	თქვენი
цуьнаниг	მისი	цераниг	მათი

X1ара сан буьрка ю.
Xьайниг мичахь ю?
Цуьнан тетрадь мичахь ду?
Цуьнаниг ц1ахь ду.

კითხვითი ფორმები

ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ჩეჩნურში ქართული “და” კავშირის შესატყვისი არის а, რომელიც მეორდება ყოველი დასაკავშირებელი სიტყვის შემდეგ და იწერება ცალკე. მაგალითად:

со а, хьо а მე და შენ
да а, нана а მამა და დედა
ваша а, йиша а ძმა და და
да а, нана а, ваша а, йиша а მამა, დედა, ძმა და და

კავშირის მნიშვნელობით ჩეჩნურში გამოიყენება, აგრეთვე, й, რომელიც იწერება თითოეულ დასაკავშირებელ სიტყვასთან ერთად. შეადარეთ:

сой, хьой მე და შენ
дай, наний მამა და დედა

ორმარცვლიან სიტყვებში й ბგერის დართვით ვიღებთ გრძელ იй (ი:) ხმოვანს.

ნаний მიღებულია შემდეგნაირად: (*нанай >) наний. შდრ., აგრეთვე, ваша ძმა, йиша და: ваший, йиший ძმა და და.

-й ფორმანტს აქვს კითხვის გამოსატვის ფუნქციაც. ამ შემთხვევაშიც სიტყვის ბოლოში ვიღებთ გრძელ ხმოვან იй-ს. მაგალითად:

хьо вьоду შენ მიდიხარ, მაგრამ: хьо вьодий (<вьоду+й) შენ წახვალ?
аса олу მე ვამბობ, მაგრამ: аса олий (<олу) ვთქვა?
ваша ძმა – ваший (<ваший) ძმა?
нана დედა – наний (<наний) დედა?

აწმეოს აღწერითი ფორმა

წინა გაკვეთილებზე ჩვენ ვისაუბრეთ აწმეოს მარტივი ფორმის შესახებ. აწმეოს ფორმას დაესმის კითხვა х1ун დ-ი? რას ვშვრები? (შვრები, შვრება, ვშვრებით, შვრებით, შვრებიან). ისიც ითქვამს, რომ მარტივი ფორმის გარდა, აწმეოს აწარმოებს აღწერითი ფორმა აწმეოს აბსოლუტივისა და მეშველი ზმნის შემადგენლობით.

აწმეოს აღწერით ფორმაზე ვისაუბროთ ცოტა უფრო ვრცლად.

მარტივი აწმეოს ფორმაზე ш-ს დართვით იწარმოება აწმეოს აბსოლუტივი. შდრ.:

ინფ. дийца, აწმეო дуйцу, აწმეოს აბსოლუტივი дуйцуш; აწმეოს აღწერითი ფორმა дуйцуш ду.

მოვიყვანოთ მაგალითები:

Со туйра дуйцуш ву//ю.

Хьо куйгаш дуйлуш ву//ю.

Иза ловзуш ву//ю.

ზმნის ამ ფორმას დაესმის კითხვა , რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება: რის კეთებაშია (კეთებაში არის)?, ე. ი. რას აკეთებს?

წავიკითხოთ, ვთარგმნოთ ქართულად:

Х1ун до? В-оьду (в-оь:д), д-отту, соцу, молу, лоху, в-оду, туху (ту:х), в-ог1у (в-о:г1), лоцу (ло:ц), олу (о:л), лору (ло:р), д-огу (д-о:г)

X1yH деш v-y? Bодyш вy, соцуш вy, молуш вy, лохуш вy, водуш вy, тухушш вy, д-оттуш вy, в-ог1уш вy, лоцуш вy, олуш вy, лоруш вy, тухуш вy, доттуш вy

შენიშვნა: მაგალითებში, რომლებიც ხშირად მეორდება, გრამატიკული კლასის ნიშანი ყოველთვის გამოყოფილი არ არის.

ло (луо) აძლევს – луш вy
го (гуо) ხედავს – гуш вy
д-о (д-уо) აკეთებს – д-еш вy

ვთარგმნოთ ჩეჩნურად:

რას აკეთებს? (არ დაგვავიწყდეს: პირები გარჩეული არ არის, პირის გასარჩევად ზმნას უნდა შევუწყოთ პირის ნაცვალსახელები):

ვიბან (იბან, იბანს, ვიბანთ, იბანთ, იბანენ), ვრეცხავ, მიმყავს, ვტოვებ, ვბანაობ, ვყვები, ვიციანი, მივდივარ, ვკითხულობ

ამავე ზმნებისაგან ვაწარმოთ აწმყოს აღწერითი ფორმები: რის კეთებაშია (რას აკეთებს)?

კიდევ ერთხელ შევადაროთ კითხვები:

аса (ერგ., ზმნა გარდამავალია) x1yH до?

со (სახ., ზმნა გარდაუვალია) x1yH деш вy?

წავიკითხოთ ტექსტი, შევურჩიოთ შესაბამისი კითხვები:

Аса куйгаш дуьлу. Со куйгаш дуьлуш вy//ю.

Аса хи молу. Со хи молуш вy.

Со вoьду. Со вoьдуш вy.

Аса бeпог дотту. Со бeпиг доттуш ю.

Иза йoьлу (йoь:л). Иза йoьдуш ю.

ჩამოთვლილ ზმნათაგან ვაწარმოთ აწმყოს მარტივი და აღწერითი ფორმები:

дада, мала, саца, лаха, датта, кхосса, дита, дига, ала, хатта, дотта

ნიმუში: дада – доду - додуш ду

ვთარგმნოთ ჩეჩნურად:

მე (შენ, ის...) წიგნს ვკითხულობ.

მე წიგნის კითხვაში ვარ.

მე (შენ, ის...) რძეს ვსვამ.

მე რძის სმაში ვარ.

მე (შენ, ის...) ქუდს ვეძებ.
მე ქუდის ძებნაში ვარ.

უარყოფითი ნაწილაკები

უარყოფის გადმოსაცემად გამოყენებულია ნაწილაკები *მა* და *ძა* “არ”.
ორივე ნაწილაკი იწერება ცალკე.

მა ნაწილაკი იხმარება მხოლოდ ბრძანებითი კილოს ფორმებთან. სხვა შემთხვევებში *ძა* გამოიყენება.

თავისებურ ზმნათა გამოკლებით, რომელთა რაოდენობაც ძალიან ცოტაა და წიგნს ბოლოში ერთვის, ინფინიტივის მაწარმოებელი ფორმანტის დაკარგვის შედეგად ზმნური ფორმები ემთხვევა წართქმითი ბრძანებითის ფორმებს. მაშასადამე, რომელიმე *мала* არის როგორც “დალევა” (ინფინიტივი), ისე “დალიე!” (წართქმითი ბრძანებითი). ინფინიტივის ფორმას დაკარგული აქვს საკუთარი მაწარმოებელი (-н). აქვე ვიტყვით, რომ *мала* ფორმაში, თუ ის ინფინიტივია, ბოლოკიდური -а არის ზმნის ფუძის სავრცობი, ან, სხვაგვარად, ის არის ხმოვანი, რომელიც ზმნის ფუძეს აკავშირებდა ინფინიტივის ამჟამად მოკვეცილ (-н) ფორმანტთან. თუ ზმნა გამოსატავს ბრძანებითს, მაშინ იგივე -а არის ბრძანებითის მაწარმოებელი ფორმანტი.

მოვიყვანოთ წართქმითი (მოითხოვს ზმნით გამოსატული მოქმედების შესრულებას) და ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები:

саца გაჩედი!	მა саца არ გაჩერდე!
ала თქვი!	მა ала არ თქვა!
дига წაიყვანე!	მა дига არ წაიყვანო!
ло მიეცი!	მა ло არ მისცე!
г1о წადი!	მა г1о არ წახვიდე!
в-ола (в-уо:л)მოდი!	მა в-ола არ მოხვიდე!
чув-ола შემოდი!	чу ма в-ола არ შემოხვიდე!
ара-в-ала გადი (გარეთ)!	ара ма в-ала არ გახვიდე!
д1а-в-ала (განზე) გადი!	д1а ма в-ала (განზე) არ გახვიდე!
мала დალიე!	მა мала არ დალიო!

როგორც მაგალითებიდან ჩანს, წართქმითი ბრძანებითის ფორმები (ბოლდით მოცემული გამონაკლისების გარდა), თითქოს იმეორებენ ინფინიტივის ფორმებს. მაგრამ მათ შორის ზემოთ აღნიშნული განსხვავება არის. გარდა ამისა, დავიმახსოვროთ, რომ თუ ზმნის ფუძეს ერთვის ზმნისწინი, უარყოფითი ნაწილაკი ადგილს იკავებს ზმნისწინსა და ზმნას შორის (მაგალითები იხილე ზემოთ).

როგორც ზემოთ ითქვა, თხრობითი კილოს ფორმებში უარყოფა გამომიხატება ცა “არ” ნაწილაკით. ზემოთ დასახელებულ ზმნათაგან ვვაწარმოთ აწმყოს უარყოფითი ფორმები (ჩერდება – არ ჩერდება ტიპისა):

саца!	ца соцу
ала!	ца олу
д-ига!	ца д-уьгу
мала!	ца молу
д1а-в-ала!	д1а ца в-олу
чу-в-ала!	чу ца в-олу
д-ада!	ца д-оду
лаха!	ца лоху
ловза!	ца ловзу
д-атта!	ца д-отту
кхосса!	ца кхуссу
д-ита!	ца д-уьту
д-ага!	ца д-огу

წავიკითხოთ, ვთარგმნოთ, დავიმახსოვროთ:

тоха!	ма тоха!
д-охка!	ма д-охка!
хотта!	ма хотта!
ахка!	ма ахка!
латта!	ма латта!
д-ила!	ма д-ила!
ловза!	ма ловза!
лаха!	ма лаха!

თარგმნეთ ჩეჩნურად:

გაჩერდი!	არ გაჩერდე!	არ ჩერდება
თქვი!	არ თქვა!	არ ამბობს
წაიყვანე!	არ წაიყვანო!	არ მიჰყავს
დალიე!	არ დალიო!	არ სვამს
გაიქცე!	არ გაიქცე!	არ გარბის
(წა)იკითხე!	არ წაიკითხო!	არ კითხულობს

დავიმახსოვროთ სიტყვები:

Марша вог1ийла (ма:рш во:г1ийл)! (ასე მიმართავენ მოსულ მამაკაცს)

Марша йог1ийла (ма:рш йо:г1ийл)! (ასე მიმართავენ მოსულ ქალს)

марша дог1ийла (ма:рш до:г1ийла)! (ასე მიმართავენ მოსულეებს)

Маршалла хуьлда хьуна а (ma:ршал хуьлд хьу:на) (ასე პასუხობენ მისაღმებზე ერთ დამხვდურს)

Маршалла хуьлда шуна а (ma:ршал хуьлд шуна)! (ასე პასუხობენ მისაღმებზე ერთზე მეტ დამხვდურს)

გაკვეთილი №7

ხმოვნები е, е:, йе, йе:, э, э:

დავიმახსოვროთ: **е, е:, йе, йе:** ხმოვნები წერაში გადმოიცემა ერთი **е** ნიშნით.

განვიხილოთ ხმოვნები е, е:

წინა რიგის საშუალო აწეულობის **е, е:** ხმოვანთა შესატყვისები ქართულში არის სადა, მარტივი ე და მისი გრძელი ვარიანტი ე.

მოვიყვანოთ სიტყვები, რომლებიც შეიცავენ მარტივ, სადა **е** ხმოვანს. ეს ხმოვანი დასტურდება როგორც ღია, ისე დახურულ მარცვლებში (ცვალებადი გრამ. კლასის ნიშანი, სიტყვისაგან, ჩვეულებრივ, დეფისით არის გამოყოფილი):

лерг д-у კბილი

цегг ю ყური

белш ю მხარი

мерза ტკბილი

меца მშიერი

деши д-у ოქრო

дети д-у ვერცხლი

лекха მაღალი

д-ели მისცა (ნამყო უახლესი)

в-ели//ели (й-ели) გარდაიცვალა (ნამყო უახლესი)

сеци გაჩერდა (ნამყო უახლესი)

мели დაღია (ნამყო უახლესი)

деза მძიმე

в-едда//едда (й-едд) გაქცეულა//გაიქცა (ნამყო განუსაზღვრელი)

цегг ю – цеггаш ю

лерг ду – лергаш ду

белш ю – белшаш ю

ვთარგმნოთ ჩეჩნურად:

ეს სახლი არის. ეს სახლი მაღალი არის. ის სკამი მძიმე არის. ეს ცხენია. ეს ცხენი ლამაზია. ის მშვიერია. მე (კაცი) მშვიერი ვარ. შენ (ქალი) მშვიერი ხარ. შენ მშვიერი ხარ? არა, მე მშვიერი არ ვარ.

ცხენი გაიქცა. ძაღლი გაიქცა. ბიჭი გაიქცა. ბავშვი გაიქცა.

დავისწავლოთ დროთა ფორმები, ნამყო უახლესის ფორმებში ბოლოკიდური ხმოვანი წარმოითქმის:

ინფ.	ნამყო უახლ.	ნამყო განუსაზღვ.
мала	мели	мелла
в-ада	в-еди	в-едда
д-ала	д-ели	д-елла
в-ала	в-ели	в-елла
саца	сеци	сецна
лаза	лези	лезна
лаха	лехи	лехна
таса	теси	тесна

აწმყოს მაწარმოებელი ფორმანტი, -y-ს გარდა, არის, აგრეთვე, a-ც. დავიმასსოვროთ ასეთი ზმნების აწმყოს ფორმები:

ინფინიტივი	აწმყო
лакѡა დაშრეტა	лекѡа
сатта გაღუნვა	сетта
карча დაგორება	керча
д-овза გაცნობა	д-евза
хаза სმენა (ესმის)	хеца
лата დაჭიდება	лета
д-аша დნობა	д-еша
такха ხოხვა	текха
талха გაფუჭება	телха
д-арста გასუქება	д-ерста

e: -ც წინა რიგის საშუალო აწმყულობის გრძელი ხმოვანია. სიტყვაში მისი პოზიცია შეზღუდული არ არის. მაგალითები:

к1еза (к1e:з) ду ლეკვი
 леча (ле:ч) ду შევარდენი
 хье (хье:.) бу ტვინი
 шера (ше:p) სწორი, გლუვი
 леци (ле:ци) დაიჭირა

в-ели//й-ели (ве:ли//й-е:ли) მორჩა
бер (бе:p) ду//бераш ду ბავშვი/ბავშვები
к1еда (к1е:д) რბილი
т1еда (т1е:д) სველი

ამოვიწეროთ ჩამოთვლილი სიტყვები ქართულად და მივუწეროთ ჩეხნური შესატყვისები “არის” ზმნასთან ერთად.

დიფთონგები йе, йе:

ეს ორი ხმოვანი პალატალური აღმავალი დიფთონგებია. ერთმანეთისაგან განსხვავებულია სიგრძით – მეორე პირველთან შედარებით უფრო გრძელია. მაგალითად:

де (дйе) ду დღე
теш (тйеш) ву//ю მოწმე
в-елха//елха (в-йелх//йелх) ტირილი
д-ехна//ехна (д-йехна//йехна) სთხოვა/უთხოვია
в-езна//езна//д-езна//б-езна (д-йезна) უყვარდა
лехна (лйехна) ექებდა
д-ешна (д-йешна) კითხულობდა, სწავლობდა

გავარჩიოთ ერთმანეთისაგან მარტივი е (ე) და მარტივი йе დიფთონგი ხმოვნები:

ოქრო	კითხულობდა
ვერცხლი	სთხოვა/უთხოვია
მძიმე	კითხულობდა
მშიერი	უყვარდა
ტკბილი	

გრძელი йе: დიფთონგიანი სიტყვებია:

д-еза (д-йе:з) სიყვარული (უყვარს)
д-еша (д-йе:ш) სწავლა, კითხვა
д-еха (д-йе:х) თხოვნა
хъеха (хъйе:х) სწავლება
1уьйре (1уь:рйе:) ю დილა
суьйре (суь:рйе:) ю საღამო
гуьйре (гуь:рйе:) ю შემოდგომა
зезаг (зйе:заг) ду ყვავილი
д-е (д-йе:!) გააკეთე!

теша (тйе:ш) ნდობა
бен (ბйე:н) მხოლოდ, მარტო

შევადართ სიტყვები, დავისწავლოთ:

ინფინიტივი	მასდარი
д-еша (д-йе:ш) სწავლა, კითხვა	д-ешар (дйе:шар)
д-еха (д-йе:х) თხოვნა	д-ехар (дйе:хар)
хъеха (хъйе:х) სწავლება	хъехар (хъйе:хар)
теша (тйе:ш) დაჯერება, რწმენა	тешар (тйе:шар), тешам (тйе:шам)
б-еза (б-йе:з) სიყვარული (უყვარს)	безам (ბйე:зам)

ინფინიტივზე -р ფორმანტის დართვით იწარმოება მასდარი. ჩეხნურში მასდარი, როგორც ქართულში, ბრუნებადია და პასუხობს არსებითი სახელის კითხვაზე რა? მორფოლოგიურად მასდარი არსებითი სახელია.

ქართულში ინფინიტივის შესატყვისი მორფოლოგიური კატეგორია არა გვაქვს, ამიტომ ჩეხნური (და ნებისმიერი სხვა ენის) ინფინიტივი და მასდარი ქართულად ითარგმნება ერთი და იგივე სიტყვით – მასდარით, თუმცა ინფინიტივის შესატყვისად მასდარს გვერდზე ფრჩხილებში ეწერება ზმნის პირიანი ფორმა. ზემოთ მასდარებს თარგმანები მიწერილი არა აქვს.

ვთარგმნოთ ჩეხნურად, დავიმახსოვროთ, **е, йе:** ბგერებიდან რომელი რომელ სიტყვაში დასტურდება. სიტყვები დავაჯგუფოთ აღნიშნული დიფთონგების მიხედვით:

სწორი, გლუვი
ტვინი
თხოვნა
გრძელი
რბილი
სწავლა
სწავლება
ნდობა
სიყვარული

რამდენიმე ერთმარცვლიანი ზმნის ინფინიტივი ბოლოვდება **йе:** დიფთონგზე, ამ შემთხვევაში იგი ნაზალურია. ასეთია:

зен (зйе:н) ძეგნა, ძიება
тен (тйе:н) დამშვიდება, დაწყნარება
д-ен (д-йе:н) დათესვა
хъен (хъйе:н) ზელა, დაზელა

ასევე:

ша (ша:) თვითონ – ნათ. шен (шйе:^h) თავისი

къен (къйе:^h) ღარიბი, უპოვარი

დავიმასსოვროთ რამდენიმე ერთმარცვლიანი სიტყვის ნათესაობითის ფორმები, სადაც ნაზალური სადა გრძელი ე (ე:) იჩენს თავს:

სახ. да (да:) მამა тай ძაფი

ნათ. ден (де:^h) тен (те:^h)

ხმოვნები ე და ე:

ეს ხმოვნები სიტყვის თავში გვხვდება.

ხმოვანი ე ჩეჩნურში არის როგორც მარტივი, სადა, ისე გრძელი. იგი არ არის ქართული ე-ს შესატყვისი ბგერა, იგი დაახლოებით ისეთი ბგერაა, სადაც ერთად არის წარმოდგენილი იე ხმოვნები. ნ. იაკოვლევმა ნაშრომში “ჩეჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი” (მოსკოვი-ლენინგრადი, 1940) მას ორი (იე) ნიშნით აღნიშნავს. მაგალითები:

элп (иэлп) ду ასო, ნიშანი

эппаз (иэппаз) ду აბაზი

эхь (иэхь) ду სირცხვილი

эха (иэх) სიარული

эзар (иэзар) ათასი

эрна (иэрн) ტყუილად, ამაოდ

გრძელი ე: დასტურდება სიტყვებში:

эса (иэ:с) ხბო

эли (иэ:ли) თქვა (თქმა ზმნის ნამყო უახლესი)

эсала (иэ:сал) მორიდებული, თავმდაბალი

эца (иэ:ц) აღება

эҕа (иэ:гI) წახსუბება

эша (иэ:ш) საჭიროება (სჭირდება)

эҕаза (иэ:гIаз) სუსტი

შევადგინოთ ფრაზები ჩამოთვლილ სიტყვათა გამოყენებით.

ვთარგმნოთ:

ХIара куьг ду.

ХIара пIелг (пIйелг) бу.

ХIорш пIелгаш ду.

цIа пIелг
ши пIелг
кхо пIелг
б-иъ пIелг
пхи пIелг
ялх пIелг
ворхI пIелг
бархI пIелг
исс пIелг
итт пIелг

цхъайтта (12-шийтта, 13-кхойтта, 14-д-ейтта, 15-пхийтта, 16-ялхитта, 17-
вурьхIитта, 18-бархIитта, 19-ткъаесна, 20-ткъа, 21-ткъе цхъаъ, 22-ткъе цхъайтта, 40-
шовзткъа, 60-кхузткъа, 80-д-езткъа, 100-бIе, 1000-эзар)

არსებით სახელთა ბრუნება

ჩენურში რვა ძირითადი ბრუნვაა. გარდა ამისა, არის ე. წ. ლოკალური (ადგილობითი) ბრუნვები, რომლებიც ერთ-ერთი ძირითადი ბრუნვისაგან, კერძოდ, მიმართულებითი I-საგან იწარმოებიან.

არსებით სახელთა ბრუნება ჩენურში ერთგვარად რთული პროცესია. ჯერ ერთი, საზოგადო სახელებში სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან იწარმოება ნათესაობითი, თავის მხრივ, ნათესაობითს საწარმოებლად იყენებენ დანარჩენი ბრუნვები. მაშასადამე, ჩენურში გვაქვს ორფუძიანი ბრუნება, პირველი ფუძე წარმოადგენს სახელობითის ფორმას, მეორე – ნათესაობითისას: სახელობითისაგან იწარმოება ნათესაობითი, ნათესაობითისაგან – დანარჩენი ბრუნვები. მეორე, გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმის წარმოება, რადგან ნათ. ბრუნვის -ინ ფორმანტი სახელის ფუძეში (იგივე სახ. ბრუნვის ფორმაში) იწვევს ფუძისეული ხმოვნის ცვლილებებს, რის შემდეგ იგი თვითონაც იცვლება (იხ. ქვემოთ). ზემოთაც არაერთხელ ითქვა, რომ ფუძესა და ბრუნვის ფორმანტს შორის ხშირად თავს იჩენენ ე. წ. ჩანართი ელემენტები, რაც უფრო მეტად ართულებს სახელთა ბრუნების პროცესს.

რვა ძირითადი ბრუნვა ჩენურში ასეა დალაგებული:

სახელობითი
ნათესაობითი
მიცემითი
ერგატივი
თანაობითი
განმსჭვალვითი
შედარებითი
მიმართულებითი I

ამ ბრუნვათაგან პირველი ოთხი ცნობილია ქართულენოვანი მკითხველისათვის. ერგატივი, იგივე მოთხრობითი ბრუნვა, ჩეჩნურში, წარმოადგენს სუბიექტის, ქვემდებარის ბრუნვას ისევე, როგორც ქართულში. ზმნა, რომელიც სუბიექტს ერგატივში მართავს, გარდამავალია (შდრ., გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ე. ი. გარდაუვალი ზმნა სუბიექტს მართავს სახელობით ბრუნვაში). ეს წესი მოქმედებს ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, სადაც ბრუნება გვაქვს.

ეს ბრუნვები, მომდევნო ბრუნვებთან შედარებით, მეტი აბსტრაქტულობით გამოირჩევიან, გამოხატავენ სინტაქსურ ურთიერთობებს, აბსტრაქტულს.

დანარჩენ ბრუნვათა სახელები მათი ერთ-ერთი ფუნქციის მიხედვით არის შერჩეული. თანაობითი, განმსჭვალვითი, შედარებითი და მიმართ. I სივრცობრივი ურთიერთობების გამომხატველი ბრუნვებია, ამათ შეიძლება ერთთანდებულებიან ან ადგილობითი ბრუნვები ეწოდოთ.

მაშასადამე, რვა ძირითადი ბრუნვაც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ძირითად და ერთთანდებულებიან ბრუნვებად (რადგან ერთთანდებულები სივრცობრივი ურთიერთობების გამომხატველი ბრუნვები არიან). ზემოთ ნახსენები ლოკალური ბრუნვები, რომლებიც მიმართ. I-საგან იწარმოებიან, ორ და მეტთანდებულებიან ბრუნვებს წარმოადგენენ (იხ. ქვემოთ).

არსებითი სახელები ჩეჩნურში იყოფიან ადამიანისა და ნივთის (ვინ-ჯგუფისა და რა-ჯგუფის) კლასის სახელებად, რაც ქართულში არსებული ვითარების ანალოგიურია.

ვინ-ჯგუფის სახელებს (ადამიანთა, იგივე პიროვნების კლასის სახელებს) დაესმით კითხვა мила (მხ. რ.) და муьлш (მრ. რ.) “ვინ?”. ამ ორი კითხვიდან ბრუნებადია მხოლოდ პირველი, მრავლობითის ფორმა მხოლოდ სახელობითშია გამოყენებული. რა-ჯგუფის სახელებს (ნივთის კლასის სახელებს) დაესმით კითხვა х1ун “რა”?

ძირითადი ბრუნვები პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

	ვინ?	რა?	მხ. რ.	მრ. რ.	
სახელობითი		мила, муьлш	х1ун	-	-(а)ш, -й
ნათესაობითი		хьенан	стенан	-(а)н	-йин
მიცემითი	хьанна	стенна		-(а)на	-(а)ш-на
ერგატივი	хьа(н)	сте(н)		-с, -а, -о (уо:)	-(а)ш-а
თანაობითი	хьаьнца		стенца	-(а)ца	-(а)ш-ца
განმსჭვალვითი	хьанах		стенах	-(а)х	-е-х
შედარებითი	хьанал		стенал	-(а)л	-е-л
მიმართულებითი I	хьаьнга		стенга	-га//	-е -

(а)ш-ка

სქემის მიხედვით ჩანს, რომ არსებით სახელს მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში ნიშანი არა აქვს.

კითხვების ქართული შესატყვისები დაახლოებით შემდეგია:

სახ. ვინ?	რა?
ნათ. ვისი?	რისა?
მიც. ვის?	რას?
ერგ. ვინ?	რამ?
თან. ვისთან?	რით?
განმსჭ. ვისზე/ვის შესახებ?	რაზე/რის შესახებ? რის გავლით?
შედ. ვისოდენა?	რისოდენა?
მიმ. I. ვის?	რას?

სახელობით ბრუნვაში სახელს, როგორც ზემოთ ითქვა, ბრუნვის ნიშანი არა აქვს. მრავლობით რიცხვში სახელის ფუძეს დაერთვის რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტები, ზოგ სახელს რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტების წინ უჩნდება ე. წ. ჩანართი ელემენტები. არის შემთხვევები, როცა აღდგება დაკარგული ფუძისეული ბგერებიც.

ბრუნებისას სახელებს, სახელობითისა და ერგატივის გამოკლებით, თითქმის იგივე დაბოლოებები აქვთ, რაც კითხვით ნაცვალსახელებს. სახელს სახელობითში ისედაც ბრუნვის ნიშანი არა აქვს.

ბრუნვათა კითხვები ისევე არის გარჩეული, როგორც ქართულში: МИЛА, МУЖИ დაესმის მხოლოდ ადამიანს, ადამიანის აღმნიშვნელ არსებით სახელებს, ХЛУН კი – ყველაფერ დანარჩენს, იქნება ეს სულიერი თუ უსულო.

ერგატივი იგივე მოთხრობითია, რაც ქართულში გვაქვს. ეს არის სუბიექტის (ქვემდებარის) ბრუნვა გარდამავალ ზმნასთან. გარდამავალ ზმნასთან ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, მათ შორის ჩეჩნურსა და ქართულში, სუბიექტი (ქვემდებარე) აღნიშნულ ბრუნვაში დგას, გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია. გამონაკლისს ქმნიან მცირერიცხოვანი ე. წ. გრძნობა-აღქმის ზმნები, რომლებთანაც სუბიექტი მიცემითშია (იხ. დანართი: გრძნობა აღქმის ზმნები).

სახელთა დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, ჩეჩნურში იბრუნვის ორფუძიანი ბრუნების პრინციპით.

I ფუძე არის სახელობითი ბრუნვის ფორმა. ამ ფორმისაგან იწარმოება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს II საბრუნებელ ფუძეს დანარჩენი ბრუნვებისათვის. ნათ. ბრუნვის ფორმანტი თანამედროვე ჩეჩნურში, როგორც ზემოთ მოყვანილი სქემიდან ჩანს, არის -аи, რომლის ხმოვნითი ნაწილი სახელთა დიდ ჯგუფში მომდინარეობს и-საგან, რომლის გავლენითაც ბრუნებაში იცვლება ფუძისეული ხმოვანი. ამ პროცესის შემდეგ и ხმოვანი თავადაც იცვლება – იგი სუსტდება და გადადის ძალიან მოკლე ხმოვანში, რომელსაც а-ს სახით იწერება.

ვაბრუნოთ არსებითი სახელები ГОВР “ცხენი”, САХЪТ “საათი”:

სახ. говრ	сахът
ნათ. говრ-ან	сахът-ან
მიც. говრ-ა-ნა	сахът-ა-ნა
ერგ. говრ-ო	сахът-ო
თან. говრ-ა-ცა	сахът-ა-ცა
განმ. говრ-ა-ხ	сахът-ა-ხ
შედ. говრ-ა-ლ	сахът-ა-ლ
მიმ. I. говრ-ე	сахът-ე

მიცემითში, თანაობითში, განმსჭვალვითში, შედარებითში ფუძის მომდევნო a ხმოვანი არის ნათესაობითი ბრუნვის -ან ფორმანტის ხმოვნითი სეგმენტი, ნაწილი. სადაც იგი არა ჩანს (ერგატივი, მიმართულებითი I), მეორეული, ფონეტიკური მოვლენაა, ეს ფორმები მიღებულია შემდგენიარად:

говр-ო (говр-уо:) < მეტათეზისით *говр-ა-в
 говр-ე < говр-ა-га (ეს ფორმა ჩვეულებრივია ზოგ დიალექტში).

ბრუნებისას მოქმედებენ ფონეტიკური პროცესები, რომელთა საფუძველზე, ჩვეულებრივ, ფუძისეული ხმოვნები იცვლებიან. ბრუნვის სირთულის მიზეზი, ძირითადად, სახელის ფუძისეულ ხმოვანთა ცვლასთან არის დაკავშირებული.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითები:

სახ. борз მგელი	буц ბალახი
ნათ. борз-ან (<борз-ин)	бец-ან (<ба:ц-ин)
მიც. борз-ა-ნა	бац-ა-ნა (ба:ц-ა-ნა)
ერგ. борз-ო (<борз-уо:)	бац-ო (<ба:ц-уо:)...

გარდა ამისა, ზოგი სახელის ბრუნებისას თავს იჩენენ ე. წ. ჩანართი ელემენტები (ბგერა ან ბგერათა კომპლექსიც კი).

სახ. диг ცული	he1კარი	гуйре შემოდგომა
ნათ. даг-არ-ან	he1-არ-ან	гуйре-н-ან
მიც. даг-არ-ნა	he1-არ-ნა	гуйре-н-ნა
ერგ. даг-არ-ო	he1-არ-ო	гуйре-н-ო...

მრ. რიცხვი (შესაბამისად): даг-ар-ш, he1-არ-ш, гуйре-н-аш

რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება არსებით სახელებში მრ. რიცხვის წარმოებაც. ამისათვის ლექსიკონებში, ჩვეულებრივ, მოცემულია სახელის ერგატივის (ზოგ ლექსიკონში – ნათესაობითისა და მიცემითისა) ფორმები მრავლობითის ფორმებთან.

ანალოგიურად იბრუნვიან სახელები:

кехат ქაღალდი, класс კლასი (საკლასო ოთახი), керт ღობე, килс ეკლესია, котам ქათამი, москал ინდაური, директор დირექტორი...

ნათესაობითში -ინ ფორმანტი ივარაუდება შემდეგი სახელების ბრუნებისას (-ინ იძლევა -ან-ს: ინ > ან). ვაბრუნოთ სახელები ბად იხვი, კად თასი (ჯამი):

სახ. ბად	კად
ნათ. бед-ан (ბე:დ-ან) (<ბა:დ-ინ)	кед-ан (კე:დ-ან) (<კა:დ-ინ)
მიც. бед-а-на	кед-а-на
ერგ. бед-о	кед-о
თან. бед-а-ца	кед-а-ца
განმ. бед-а-х	кед-а-х
შედ. бед-а-л	кед-а-л
მიმ. I. бед-е	кед-е

მოვიყვანოთ, აგრეთვე ჩვენთვის ცნობილი ზოგი სახელის ბრუნვათა ფორმები:

1. хьакха ღორი, 2. хьакх-ин (< хьакха-ин), 3. хьакх-и-на, 4. хьакх-о, 5. хьакх-и-ца, 6. хьакх-и-х, 7. хьакх-и-л, 8. хьакх-е (хьакх-е:);

1. пхьарс მკლავი, 2. пхьарс-ан (< пхьарс-ин), 3. пхьарс-а-на, 4. пхьარс-о, 5. пхьარс-а-ца, 6. пхьარс-а-х, 7. пхьარс-а-л, 8. пхьარс-е;

1. лом (луом) ლომი, 2. лoьм-ан (< лом-ин), 3. лoьм-ა-ნა, 4. лoьм-ო, 5. лoьм-ა-ცა, 6. лoьм-ა-ხ, 7. лoьм-ა-ლ, 8. лoьм-ე;

1. аз ბგერა, 2. оз-ан (ო:ზ-ან) (< ო:ზ-ონ//ო:ზ-უნ), 3. оз-ა-ნა, 4. оз-ო (ო:ზ-უო:), 5. оз-ა-ცა, 6. оз-ა-ხ, 7. оз-ა-ლ, 8. оз-ე;

1. гIаж ჯოხი, 2. гIож-ан (< гIаж-ун), 3. гIож-ა-ნა, 4. гIож-ო, 5. гIож-ა-ცა, 6. гIож-ა-ხ, 7. гIож-ა-ლ, 8. гIож-ე;

განსხვავებულად იბრუნვის ხელობის, ეროვნების აღმნიშვნელი სახელები:

1. нохчо, 2. нохчо-чун, 3. нохчо-чун-на, 4. нохчо-чо, 5. нохчо-чуьн-ца, 6. нохчо-чу-х, 7. нохчо-чу-л, 8. нохчо-чуьн-га;

1. хьархо (хьархуо:) მეწისქვილე, 2. хьარхо-чун, 3. хьარхо-чун-на, 4. хьარхо-чо, 5. хьარхо-чуьн-ца, 6. хьარхо-чу-х, 7. хьარхо-чу-л, 8. хьარхо-чуьн-га...

დავაკვირდეთ ე. წ. ჩანართიან სახელთა ბრუნებასაც:

ага (ა:გა), ага-н-ан, ага-н-на, ага-н-о, ага-н-а-х, ага-н-а-л, ага-н-е აკვანო
цIе, цIе-р-ан (< цIа-р-ин), цIа-р-на, цIа-р-ო, цIа-რ-ца, цIа-რ-ა-х, цIа-რ-ა-ლ, цIа-რ-ე სახელი, ცეცხლი

газа (გა:ზა), газа-н-ан, газа-н-на, газа-н-о, газа-н-ца, газа-н-а-х, газа-н-а-л, газа-н-ე თხა

туька, туька-н-ан, туька-н-на, туька-н-ო, туька-ნ-ца, туька-ნ-ა-ხ, туька-ნ-ა-ლ, туьკა-ნ-ე მაღაზია

седа, седа-н-ан, седа-н-ан, седа-н-на, седа-н-ო, седа-ნ-ца, седа-ნ-ა-ხ, седа-ნ-ა-ლ, сеდა-ნ-ე ვარსკვლავი...

ამ ნიმუშების გარდა, ჩეხურში გვაქვს მცირერიცხოვანი ერთფუძიანი ბრუნების სახელები, უწესო ბრუნების სახელებიც. ამ რიგის სახელების ბრუნება მოცემულია დანართში (ბრუნებისა და უღლების ტაბულებში).

არსებით სახელთა წარმოქმნა

არსებით სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები ჩეხურში ცოტაა.

სახელთა წარმოქმნაში, სხვა სუფიქსებთან შედარებით, უფრო ხშირად დასტურდება **-xo (-xyo)** სუფიქსი. იგი გამოხატავს: ხელობას, ნათესაურ ურთიერთობას, ზოგ სხვა ნიშან-თვისებას. შეადარეთ:

-xo (-xyo):

беш ბაღი	беш-хо მებაღე
хьар წისქვილი	хьар-хо მეწისქვილე
мангал ცელი	мангал-хо მთიბავი (მცველავი)
суд სასამართო	суд-хо მოსამართლე
яздар წერა	яздар-хо მწერალი
хьехар სწავლება	хьехар-хо მასწავლებელი
дешар სწავლა	дешар-хо მოსწავლე
да მამა	де-хо (де:хо) მამეული (ნათესავი მამის მხრიდან)
нана დედა	нена-хо დედეული (ნათესავი დედის მხრიდან)
дoбызал ოჯახი	дoбызал-хо ოჯახის წევრი
хьал ქონება	хьал-хо მდიდარი (მქონებელი)
йисар дан დატყვევება	йисар-хо ტყვე
турпалалла გმირობა	турпал-хо გმირი
дов დავა	дов-хо მოდავე
ц1e სახელი	ц1e-p-хо მოსახელე (სეხნია)
юрт სოფელი	юьрт-хо სოფლებელი
г1ала ქალაქი	г1ала-хо ქალაქელი
Шела შალი (ქალაქი)	шела-хо შალიელი
Кавказ კავკასია	кавказ-хо კავკასიელი

-po (-pyo): გამოხატავს წარმომავლობას:

Хилдехъа ხილდეჰა (ადგილი)	хилдехъа-ро ხილდისაროელი
лам მთა	лам-а-ро მთიელი

-ლო (-люо:) გამოხატავს პროფესიას, ხელობას:

болх მუშაობა	белх-а-ло მუშა
тlom (тlyom) ომი	тlем-а-ло მეომარი
гергара ნათესავი	гергар-ло ნათესაობა

-ჩა ასევე, პროფესიას, ხელობას გამოხატავს:

или სიმღერა	иллан-ча მომღერალი
туьйра ზღაპარი	туьра-н-ча მეზღაპრე
lилмამეცნიერება	lила-н-ча მეცნიერი
зурма ზურნა	зурма-н-ча მეზურნე
пондар გარმონი	пондар-ча მეგარმონე

-гIар (гIа:p) სუფიქსი აღნიშნავს გვარის, ოჯახის წევრებს, სანათესაოს:

Ризван რიზვანი	Ризван-гIар რიზვანანი
Ахьмад ახმადი	Ахьмад-гIар ახმადანი

-(ა)ლა სუფიქსი აბსტრაქტულობის მაწარმოებელია:

ваша ძმა	ваша-лла ძმობა
доттагI მეგობარი	доттагI-алла მეგობრობა
накъост ამხანაგი	накъост-алла ამხანაგობა
адам ადამიანი	адамалла ადამიანობა...

майра გუღალი	майра-лла გუღალობა
д-еха (д-е:ха) გრძელი	д-оха-лла სიგრძე
д-оца მოკლე	д-оца-лла სიმოკლე
сиха ჩქარი	сиха-лла სიჩქარე
дика კარგი, კეთილი	дика-лла სიკეთე
хаза ლამაზი	хаза-лла სილამაზე

-ო (-yo:) სუფიქსი ზედსართავეებისაგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს:

шийла ცივი	шел-ო სიცივე
йовха თბილი	йовх-ო სითბო
мерза ტკბილი	марз-ო სიტკბო

цлена სუფთა

цлан-ი სისუფთავე

როგორც მაგალითებიდან ჩანს, წარმოქმნის ელემენტებით ჩეჩნური მწირია. არსებული საშუალებებიც არაპროდუქტიულია.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

არსებით სახელს სახელობითში ბრუნვის ნიშანი არა აქვს. სახელისაგან მრ. რიცხვის წარმოებისას სახელდების ფორმას (სახელობითის ფორმას) დაერთვის მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსები. აღსანიშნავია, რომ რიცხვის წარმოებისას ბევრი სახელის ფუძეში ხდება ფონეტიკური სახის ცვლილებები. გარდა ამისა, ზოგი სახელის ფუძეში თავს იჩენს ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა ან კიდევ ე. წ. ჩანართი ელემენტების გაჩენა...

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსია -ш, რომელსაც ხშირად წინ უძღვის რომელიმე ხმოვანი. მაგალითად, ასე: -(а)ш.

-ш ფორმანტით მრ. რიცხვი იწარმოება სახელებისაგან, როგორიცაა:

хи – хи-ш წყალი, бере (ბე:რჲე) – бере-ш მხედარი, тло (ტლუო) – тло-ш არაუანი, ций – ций-ш სისხლი, книга – книга-ш წიგნი, алкханча – алкханча-ш შაშვი, пхьегла (პხჲეგლა) – пхьегла-ш ჭურჭელი...

იგივე სუფიქსი მრ. რიცხვს აწარმოებს л, р-ზე დაბოლოებული სახელებისაგანაც:

турпал – турпал-ш გმირი, синтар – синтар-ш ნერგი, нускал – нускал-ш პატარძალი, тукар – тукар-ш მაკრატელი, автор – автор-ш ავტორი, ишал – ишал-ш ჭაობი...

-(а)ш ფორმანტით ნაწარმოებია:

кор (კორ) – кор-аш ფანჯარა, пен – пен-аш კედელი, говр – говр-аш ცხენი, лерг – лерг-аш ყური, бларг – бларг-аш თვალი, церг – церг-аш კბილი, бер (ბე:რ) – бер-аш ბავშვი, тлулг – тлулг-аш ქვა, котам (კო:ტამ) – котам-аш ქათამი, байракх – байракх-аш დროშა...

შეადარეთ, აგრეთვე, რუსულიდან ნასესხები სიტყვები ორივე რიცხვში:

автобус – ატობუს-აშ, кабинет – кабинет-აშ, капитан – капитан-აშ, агроном – агроном-აშ, абзац – абзац-აშ, тетрадь – тетрадь-აშ... казах – казах-აშ ყაზახი, француз – француз-აშ, немец – немц-აშ, поляк – поляк-აშ...

ზოგ სახელში, როგორც ზემოთ ითქვა, მრავლობითის ფორმანტისეული ხმოვნის გავლენით, იცვლება ფუძისეული ხმოვანი. ივარაუდება, რომ მრ. რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსს სხვა ხმოვანი ჰქონდა, რომელმაც შეცვალა – გააპლატალა სახელის ფუძისეული ხმოვანი და შემდეგ თვითონ იცვალა სახე, გადავიდა ა-ში. შდრ.:

- пхьарс – пхьаьрс-აშ (< *пхьарс-იშ) მკლავი
- б1ар – б1аьр-აშ (< *б1ар-იშ) კაკალი
- пхьар – пхьаьр-აშ (< *пхар-იშ) მჭედელი
- мас – мес-აშ (< *мас-იშ) თმა
- бад – бе:д-აშ (< *ба:д-იშ) იხვი
- г1ан – г1е:н-აშ (< *г1а:н-იშ) სიზმარი
- кад – ке:д-აშ (< *ка:д-იშ) თასი
- мах – ме:х-აშ (< *ма:х-იშ) ფასი...

მცირერიცხოვან სახელთა მრ. რიცხვის წარმოებისას ფუძისეული ყ ხმოვანი იცვლება ა-თი. გარდა ამისა, ორმაგდება სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი. შდრ.:

у(н) – анн-აშ ფიცარი, букъ – баккъ-აშ ზურგი, бух – бахх-აშ ფსკერი, бохъ (буохъ) – баххъ-აშ (бахъхъაშ) წვერი, кенწერо, тур – тарр-აშ ხმალი, муш – машш-აშ თოკი...

შდრ., აგრეთვე:

буц – бец-აშ (ба:ц-იშ) ბაღახი...

დავიმახსოვროთ ისეთი სახელებიც, რომელთა მრ-ში თავს იჩენენ ე. წ. ჩანართი ბგერები (ზოგი ასეთი სახელი წინა მასალაშიც არის მოყვანილი):

- ага (а:га) – ага-н-აშ აკვანი
- аре (а:ре) – аре-н-აშ მიდამო, მინდორი, ვაკე ადგილი
- куй – куй-н-აშ ქუდი
- аз – аьз-н-აშ ბგერა
- къам – къаьм-н-აშ ერი, ხალხი
- лам – лаьм-н-აშ მთა...
- диг – даг-ар-ш ცუელი
- з1ок (з1уок) – з1ак-ар-ш ნისკარტი
- дшг – даг-ар-ш კარი...
- седа – седа-рч-ий ვარსკვლავი
- хьакха – хьакха-рч-ий ღორი
- ча – че-рч-ий დათვი

цlога (цlуога) – цlога-рч-ий კული
сту – сте-рч-ий ხარი...

ასევე თავისებურად აწარმოებენ შემდეგი არსებითი სახელები მრავლობითს:

ваша – вежарий ძმა
йиша – йижарий და
йоl (йуоl) – мехკарий გოგო, ქალიშვილი (სხვადასხვა ფუძით)
воl (вуоl) – кьонгий ძე, ვაჟიშვილი (სხვადასხვა ფუძით)
борз – берзалой მგელი
эхха (э:кха) – акхарой მხეცი, ნადირი...

-й ფორმანტიც მრ. რიცხვის მაწარმოებელია. შდრ.:

да – дай მამა, хьаша – хьеший სტუმარი, доттагl – доттагlий მეგობარი, накьост – накьостий ამხანაგი, чlара (чlа:ра) – чlერი (чlе:рий) თევზი, дахка – дехкий თავგი, клеза (кле:зий) – клезий ლეკვი, сагал – сеглий რწყილი, lахар (lа:хар) – lаხარий თოხლი, бекъа – бокьий კვიცი, лулахо (лу:лахо) – лулахойმეზობელი, нохчи//нохчо – нохчий ჩეჩენი, гутьржи – гутьржий ქართველი...

გაკვეთილი №8

ლოკალური (ადგილობითი) ბრუნვები

მიმართულებითი I ბრუნვის მაწარმოებელია -га (> -e) თანდებული, რომელიც გამოხატავს მოძრაობას ვინმესკენ, რაიმისკენ, მიუთითებებს, რომ მოძრაობა მიმართულია ამ ბრუნვაში დასმული სახელისაკენ.

ზემოთ ითქვა, რომ თანდებული -e -га-ს ფონეტიკური ვარიანტია, იგი, ჩვეულებრივ, იხმარება თანხმოვანფუძიან სახელებთან (თუმცა გამონაკლისიც ბევრია).

მიმ. I.говр-е ცხენს, ცხენისკენ. ბრუნვის ამ ფორმას ძირითადს იმიტომ ვუწოდებთ, რომ იგი ერთთანდებულიანია, მას შეიძლება სხვა თანდებულებიც დაერთოს, რომლებიც უფრო აზუსტებენ საგნის მოძრაობას ან მდებარეობას სივრცეში. ორ და მეტთანდებულიან ბრუნვებს ვეძახით ლოკალურ (ადგილობით) ბრუნვებს.

ასეთი ბრუნვებია:

გამოსვლითი I-ის მაწარმოებელი ფორმანტია -ра, რომელიც დაერთვის მიმართულებითი I-ის ფორმას და გამოხატავს მოქმედების მიმართულებას საწყისი პუნქტიდან. მაგალითად, სახ. школа (шкyола):

школ-е (მიმ. I) в-аха სკოლაში წავიდა;
школ-е-ра (გამოსვლითი I) в-огly სკოლიდან მოდის...

“გამოსვლითი” II-ის ფორმანტია -хула, იწარმოება მიმართულებითი I-ისაგან და გამოხატავს მოქმედების მიმართულებას რაიმე ობიექტის ან ობიექტთან გავლით (გამოვლით). მაგ.:

школ-е-хула სკოლასთან გავლით (გამოვლით)...

ადგილობითი ბრუნვის ფორმანტია -хь, რომელიც დერთვის მიმართულებითი I-ის ფორმას და გამოხატავს საგნის ადგილმდებარეობას. მაგ.:

школ-е-хь სკოლაში (არის, იმყოფება)...

მიმართულებითი II-ის მაწარმოებელი ფორმანტია -а. ბრუნვის ეს ფორმა იწარმოება ადგილობითისაგან და გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ობიექტისაკენ. მაგ.:

школ-е-хь-а სკოლის მხარეს, სკოლის მიმართულებით, სკოლისაკენ (მაგალითად, წავიდა)...

“გამოსვლითი” III-ის მაწარმოებელია ფორმანტი -ра, იწარმოება მიმართულებითი I-ისაგან და გამოხატავს მოქმედების დაწყებას, გამოსვლას რომელიმე ობიექტის მხრიდან. მაგ.:

школ-е-хь-а-ра სკოლის მხრიდან...

მცირერიცხოვანი სახელები მიმართულებას გამოხატავენ სხვა ფორმანტებითაც, როგორცაა -л(а): **хл** წყალი, **хл-л** წყალში (მაგ., ჩავარდა, ჩააგდო); **моз** თაფლი, **маз-а-л** თაფლში (ჩადო)...

“გამოსვლითი” IV-ის მაწარმოებელია -хула, იწარმოება მიმართ. II-ისაგან და გამოხატავს მოქმედების მიმართულებას, რომელიც მცირე ნიუანსით განსხვავდება “გამოსვლითი” III-ის შინაარსისაგან:

школ-е-хь-а-хула სკოლის მხარის გავლით ან (გამოვლით)...

სქემატურად ეს ბრუნვები ამგვარად დალაგდება:

